ᲛᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 59 (19800) ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 11 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1987 ᲬᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ: ᲕᲘᲜ ᲐᲒᲔᲒᲖᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ?

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 1988 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲪᲔᲑᲡ ᲓᲐᲜᲘᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲔᲒᲠᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ-ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲨᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲘᲯᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

აღინიშნა, რომ ძირითადად მას ფორმალური ხასიათი აქვს. მემცენარეობის, მეცხოველეობისა და მექანიზაციის სამრეწველო-ეკონომიკურ კომპლექსებში გაერთიანებული ქვეგანყოფები არ შეესაბამება სამეურნეო ანგარიშის პრინციპებს, მათი საქმიანობა ამოიწურება მხოლოდ საიჯარო რგოლებისათვის ადმინისტრაციის განკარგულებათა გადაცემით. არ ეწყობა საწარმოო-ეკონომიკური კომპლექსების საბჭოების სხდომები საიჯარო რგოლების მუშაობის შედეგების განსახილველად, უხარისხოდ ადგენენ სამეურნეოგარიშიან ქვეგანყოფებთან საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციის ხელშეკრულებებს, რომლებშიც ნაჩვენები არ არის აკორდული ფასდებები ერთეულ პროდუქციაზე გაანგარიშებით, დანახარჯების ეკონომიის სტიმულირების პირობები, შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი და პროგრესულად მზარდი ფასდებები.

სამეურნეო ანგარიშისა და იჯარის დოკუმენტაცია უკიდურესად დაბალ, უხარისხო დონეზე წარმოებს, საიჯარო რგოლების მუშაობაში დარღვეულია შიდასამეურნეო ანგარიშის მთავარი პრინციპი: არ იჯამებენ საბოლოო შედეგებს, არ ითვალისწინებენ პირდაპირი მატერიალური დანახარჯების ეკონომიას ან გადახარჯვას. სამეურნეო ანგარიშზე არ გადაუყვანიათ მექანიზაცია, ავტოტრანსპორტი, სარემონტო სახელოსნოები და სხვა. ხელმიშვებულია საბუღალტრო აღრიცხვა. მაგალითად, საბჭოთა მეურნეობის 1986 წლის წლიურ ანგარიშში სწორად არ არის გაანგარიშებული შრომის ნაყოფიერების ფაქტობრივი მაჩვენებლები, ერთი მუშაკის საშუალო წლიური ხელფასი, საკუთარი საბრუნავი საჰსრების რაოდენობა.

საბჭოთა მეურნეობის დირექციისა და სპეციალისტთა არასაკმარისი ხელმძღვანელობის შედეგად გაუარესდა საწარმოო-საფინანსო მაჩვენებლები. ორი წლის მანძილზე 824 ათასი მანეთის დანამატის მიღების მიუხედავად, წარმოების რენტაბელობა თითხმეტ პროცენტს არ აღემატება. დანამატების გაუთვალისწინებლად კი იგი ზარალიანია. შარშან შრომის ანაზღაურების ზრდამ 18,6 პუნქტით გაუსწრო მის ნაყოფიერებას. ამავე პერიოდში დებიტორულმა დავალიანებამ 175 ათასი მანეთი შეადგინა.

ცენტნერი რძის თვითღირებულება 15 მანეთით გაიზარდა, ძროხის ხორცისა — 69,6 მანეთით, მარცვლეულისა — 4,6 მანეთით. კარტოფილის დამზადების მოცულობა 44 ტონით შემცირდა, ხორცისა — 174 ტონით. ძროხის სიშუალო წლიურმა წველადობამ 1986 წელს 1982 წელთან შედარებით 42 კილოგრამითი იკლო, ამავე დროს კომბინირებული საკვების გადახარჯვამ 15,3 ტონა შეადგინა. 100 ძროხაზე ნამატი — 1982 წლის 74 ხბოდან შარშან — 46-მდე შემცირდა.

შექმნილი ვითარება საბჭოთა მეურნეობის დირექციისა და პარტიული ორგანიზაციის მხრივ მეურნეობრიობის ახალი მეთოდების დანერგვისადმი, კადრების მომზადებისა და სწავლებისადმი უპასუხისმგებლო და ფორმალური დამოკიდებულების, საწარმოო, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის შესუსტების, სახელმწიფო სახსრებზე იმედის დამყარების შედეგია.

რა სამეურნეო ანგარიშზე შეიძლება ლაპარაკი, თუ მეურნეობის პირველადი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების სხდომებზე საიჯარო რგოლების მუშობის, რომლებმაც საგეგმო დავალებები ვერ შეასრულეს, დადებითად აფასებენ. საწარმოო ქვეგანყოფების საქმიანობის შესაბამისი ანალიზისა და შეფასების გარეშე აჯამებენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს.

ესოდენ დიდმნიშვნელოვან საკმეს განზე განუდგა სასოფლო საბჭოს აღმასკომიც, რომელიც არ მუშაობს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში დეპუტატთა დასაქმების, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვაში მათი მონაწილეობის საკითხებზე.

წაროების განვითარების დონე, მეურნეობრიობის პროგრესული ფორმების დანერგვის მდგომარეობა მოწმობს, რომ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელობა, მისი საბჭო სუსტად ერკვევიან საბჭოთა მეურნეობაში მიმდინარე ვითარებაში, ნაკლები ბრალი როდი მიუძღვის აგროსამრეწველო გაერთიანების ყოფილ თავმჯდომარეს ა. ე. მიქელაძეს.

საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომმა შეანელა აქტიურობა და სათანადოდ არ ხელმძღვანელობს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებისა და მეურნეობათა მუშაობას მეურნეობრიობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის, რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსში საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სამეურნეო ანგარიშისა და კოლექტიური იჯარის დანერგვისათვის ეგრისის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის დირექციისა და პარტორგანიზაციის მუშობა არადამაკმაყოფილებლად ცნო.

პარტიის დმანისის რაიკომს დაევალა განიხილოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორის დ. დ. ორუჯევისა და მთავარი ეკონომისტის ნ. ა. პლიევის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც ფორმალურად მოეკიდნენ სამეურნეო იჯარის დანერგვას, მეურნეობის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას.

რესპუბლიკის სახგრომრეწვმა უნდა გააძლიროს კონტროლი რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, საზოგადოებრივი მეურნეობების საგეგმო-ეკონომიკური და საბუღალტრო სამსახურების მუშაობისადმი, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს მათი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას, ადამიანთა მორალური და მატერიალური სტიმულირების ფორმების გამოყენებას, იმას, რომ საჭიროა დაზოგონ რესურსები და არ დაუშვან დისპროპორცია შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპსა და მის ანაზღაურებას შორის.

როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა მიიჩნიონ ის, რომ კიდევ უფრო განამტკიცონ კვალიფიციური კადრებით აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა უბანი, რომ ისინი დაეუფლონ მართვის თანამედროვე მეთოდებსა და კოლექტიური იჯარითა და სამეურნეო ანგარიშით მუშაობის პრინციპებს, შეიძინონ ინტენსიური და სხვა პროგრესული ტექნოლოგიების საფუძვლიანი ცოდნა, უხარი ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯონ მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის საოლქო, რაიონულ, საქალაქო კომიტეტებს, აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს დაავალა მკაცრად იხელმძღვანელონ მუშაობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის 6 დეკემბრის დადგენილებით „შრომის ორგანიზაციისა და სამეურნეო ანგარიშის რაციონალური ფორმების დანერგვის საფუძველზე სოფლის მეურნეობაში მისი ნაყოფიერების გადიდების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲔᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲪᲕᲚᲘᲐᲜ ᲠᲔᲟᲘᲛᲖᲔ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ და ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲘᲣᲚ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ დადგენილება „წარმოების ეფექტიანობის გადიდების მიზნით მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების გადასვლის შესახებ“ სადღეისოდ ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური დოკუმენტია.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებათა რეალიზაცია, რომელთა მიზანია შექმნილი საწარმოო პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდა განუყოფელად არის დაკავშირებული მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე მრეწველობის, შშენებლობის, ტრანსპორტის, აგროსამრეწველო კომპლექსისა და სხვა დარგების გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების გადასვლასთან. ამ ამოცანის გადაწყვეტა სახალხო მეურნეობის გარდაქმნის, განვითარების ინტენსიურ გზაზე მისი გადაყვანის შემადგენელი ნაწილია.

მოწყობილობის ორ და სამცვლიან სამუშაოზე გადაყვანის კარგი გამოცდილება შეიძინეს ქვეყნის მთელმა რიგმა სამრეწველო საწარმოებმა. მუშაობა ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებშიც მიმდინარეობს. თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებაში, მაგალითად, 17 უნიკალური მოწყობილობის ცვლიანობის კოეფიციენტი, 1,83-ს შეადგენს და ვარაუდობენ, რომ ეს მაჩვენებელი ხუთწლედის დამლევისათვის 2,13-ს მიაღწევს. საერთოდ კი, ამ გაერთიანებაში მოქმედი 2724 ერთეული მოწყობილობიდან პირველ ცვლაში 2628, მეორე ცვლაში 1082, ხოლო მესამეში 26 მუშაობს, რაც, ცხადია, არ არის საკმარისი. მუშაკთა დიდი რაოდენობა — რამდენიმე ათასი კაცი დასაქმებულია გაერთიანების მეთაურ ქარხანაში და მეორე ცვლაში მათგან ჯერჯერობით შრომობს 766, მესამეში — 160. აქ, რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. თუმცა, ისიც შეიტყობა, რომ გაერთიანებაში დანადგართა ცვლიანობის კოეფიციენტის ზრდისათვის ხორციელდება დიდ ღონისძიებათა კომპლექსი, რისგანაც უკვეგვას მოელე ნაწილი ელიან და იმედია ეს ასეც იქნება.

ორ და სამცვლიან სამუშაოზე გადასვლისათვის მუშაობენ სხვა საწარმოებიც, მაგრამ აქ საჭიროა მოქმედების უფრო სწრაფი ტემპი. ზემოხსენებულ დადგენილებაში ნათქვამია ისიც, რომ იმ საწარმოთა გამოცდილება, რომლებმაც ამ მიმართულებით დამაჯერებელ შედეგებს მიაღწიეს, ჯერჯერობით ფართოდ არ ვრცელდება, ცალკეულ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანოებს კვლავ-ინდებურად ძირითადად განვითარების ექსტენსიური გზის იმედი აქვთ, ეს საკუთრივ ეხება ჩვენს რესპუბლიკასაც.

დაჩქარების სტრატეგიის რეალიზაციისათვის კი საჭიროა განსხორციელდეს ძირეული გარდაქმნა წარმოების ინტენსიფიკაციის მიმართულებით. ეს აუცილებელია შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. რესპუბლიკის მრეწველობას აქვს საამისო პოტენციალი, მაგრამ ცუდად ვიყენებთ მას. თბილისის მანქანათმშენებელ საწარმოებში, მაგალითად, მეორე ცვლაში მხოლოდ დანადგართა პარკის 44 პროცენტს, ხოლო მესამეში 15686 ერთეული მოწყობილობიდან — 12-ს აშუშავებენ. თითქმის ორი ათეული წელია, რაც დანადგართა ცვლიანობის კოეფიციენტი რესპუბლიკის მრეწველობაში მთლიანად ერთი და იგივე დონეზეა და შეადგენს 1,37-ს. საერთოდ, მანქანათმშენებლობაში მეორე ცვლაში შრომობს ამ დარგში მომუშავეთა 13 პროცენტი, მესამეში მხოლოდ და მხოლოდ — 1,1 პროცენტი. როგორც ვხედავთ, ამ მაჩვენებლით თავს ვერ მოვიწონებთ. გამოდის, რომ დღე-ღამის განმავლობაში ცდება ბევრი დანადგარი და მათ შორის ძვირად ღირებული. ამ უდიდესი რეზერვების გონივრული, გააზრებული ამოქმედებით თავისუფლად გადაეწყვეტდით ჩვენ წინაშე წამოჭრილ პრობლემათა დიდ ნაწილს, მოვაგვარებდით საწარმოო სიმძლავრეების მაქსიმალურ გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლახან გამართულ პლენუმზე, რომელზეც განხილეს საკითხი „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისათვის საქართველოს სს რესპუბლიკისადმი დასმარების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 თებერვლის დადგენილების შესაბამისად და მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა უზრუნველსაყოფად“, სწორედ საწარმოო სიმძლავრეების ცუდი გამოყენებისათვის გააკრიტიკეს ისეთი დიდი სამრეწველო ობიექტები, როგორიც არის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანება, თბილისის „ჩარხმშენებლის“, რუსთავის „აზოტისა“ და „ქიმბოჭკოს“ საწარმოო გაერთიანებები, აგრეთვე საშენ მასალათა, მხუნეკი, კვების მრეწველობისა და ადგილობრივი მრეწველობის მრავალი საწარმო.

მრავალცვლიან სამუშაო რეჟიმზე გადასვლა დროის გადაუდებელი მოთხოვნაა. ეს მითითებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის პროექტშიც, სადაც, კერძოდ, აღნიშნულია, რომ საწარმო ვალდებულია ნიადაგ უზრუნველყოფდეს პროგრესულ საფუძველზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კვლავწარმოებას, ეფექტიანად იყენებდეს საწარმოო სიმძლავრეებსა და ძირითად ფონდებს. საწარმოო პოტენციალის სრული უკეგების მიღწევის მიზნით საწარმო ამყარებს მუშაობის ორცვლიან, უნიკალურ და ძვირფასღირებულ მოწყობილობებზე და იქ, სადაც ამას წარმოების პირობები მოითხოვს, სამ ან ოთხცვლიან რეჟიმს. საწარმომ მუშაობის სხვა რეჟიმი შეიძლება გამოიყენოს ზემდგომი ორგანოს ნებართვით, რომელიც შეთანხმებული იქნება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოსთან.

აღარ უნდა მტკიცება იმას, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის უდიდესი წყაროა საწარმოო სიმძლავრეების დროული ათვისება. ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ საკუმშლელაკოდად გადაცემული სიმძლავრე, ცხადია, იმითავითვე ვერ მოგვცემს პროექტით გათვალისწინებულ შედეგს, მისი მთლიანი ათვისებისათვის ნაკარაუდევია დროის ნორმატიული საწარმოო და ამიტომ საჭიროა განსაზღვრული ჯადების უთუო დაცვა. სხვანაირად საბოლოო შედეგის მიღწევაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება.

მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე გადასაყვანი საწარმოო დარგების მუშა-მოსამსახურეებს, ნათქვამია ზემოხსენებულ დადგენილებაში, უნდა შეექმნათ ყველაზე ხელშემწყობი პირობები დიდნაყოფიერი შრომისა და სრულფასოვანი დასვენებისათვის. ამასთან დაკავშირებით მომსახურების სფეროს ორგანიზაციებში საჭირო განსორციელდეს სათანადო ღონისძიებანი მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაუმჯობესების, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, მინდობილი საქმისათვის თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით.

მომსახურების საკითხების მოუგვარებლობამ ბევრ რამეში შეიძლება შეგვაფერხოს. „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების მეორე ცვლა, მაგალითად, მუშაობს ღამის ორ საათზე ამოვრეს. ამ დროისათვის საქალაქო ტრანსპორტი აღარ მოძრაობს. გაერთიანების ერთი ავტობუსით კი ასობით მუშის შინ რიგრიგობით მიყვანა დილამდე გაგრძელდება. ასეთი და სხვა მსგავსი საკითხები მოსაგვარებელია ყველა მრავალცვლიანი მუშაობის რეჟიმზე გადამსვლელ ორგანიზაციაში. ამიტომ, შესაბამისად უთუოდ უნდა დაჩქარდეს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოოა და ორგანიზაციათა, სასწავლებლებისა, სკოლამდელთა, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა, სხვა ორგანიზაციათა მუშაობის რეჟიმის გარდაქმნა.

ამასთან, საჭიროდ არის მიჩნეული მნიშვნელოვნად გაიზარდოს მრავალცვლიანი რეჟიმით მუშაობისათვის მუშების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების მორალური სტიმულირებისა და მატერიალური დაინტერესების როლი. ეს კონკრეტულად არის მითითებული დადგენილებაში და ახლა გადაუდებელი ამოცანაა შემოქმედებითად გამოიყენონ, ღრმად გავიაზროთ, მიეუსადაგოთ საკუთარ პირობებს ამ დოკუმენტით გათვალისწინებული უფლებები.

მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე გადასვლა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა საწარმოო პოტენციალის გამოყენების ძირეული გაუმჯობესების საქმეში. მთელი მეცადინეობა უნდა მოსმარდეს წარმოების ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას, ძირითადი ფონდების განახლებას, პროგრესული ტექნიკის გამოყენებას შეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებული რეალიზაციის მიზნით.

ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ — ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲣᲑᲐᲜᲖᲔ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ გაერთიანება „ᲔᲚᲕᲐᲡ“ მშრომელები ცდილობენ დროის მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნან მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, თითოეულ სამუშაო უბანზე საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას. გაერთიანებაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. შრომაში დაწინაურდა № 8 გამომთვლელი მანქანების გამმართველი საამქროს კოლექტივი. იგი ერთ-ერთი მოწინავეა მთელ გაერთიანებაში, აქ დამზადებული პროდუქცია უზადოა და მასზე დიდი მოთხოვნაა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ უცხოეთშიც.

ბოლო ხანს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოში უფრო თამამად, გაბედულად დაიწყეს ახალგაზრდა მუშებისა და სპეციალისტების დაწინაურება. ასე იქცევიან თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებაშიც. აქ მექანიკური საამქროს ოსტატად დაინიშნა ახალგაზრდა სპეციალისტი ოსეს ავსაჯანაშვილი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ: თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების მექანიკური საამქროს ოსტატი ი. ავსაჯანაშვილი; „ᲔᲚᲕᲐᲡ“ საწარმოო გაერთიანების გამმართველი საამქროს უფროსი ნ. გოგიტელაშვილი (ცენტრში) ესაუბრება ამწყობ ზეინკლებს თ. ხოჯავას და ნ. ბერუაშვილს, ინჟინერ-გამმართველებს ნ. ანთაძეს და კ. მამალაძეს, საამქროს პარტიიურის მდივანს ლ. გაჩიჩილაძეს.

ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ფოტო.

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲘᲚᲕᲐ

ᲘᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ

ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ნორმალურ გამოზამთრებაზეა დამოკიდებული მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გადიდება. სადაც კარგად უვლიან პირუტყვს, იყენებენ მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავეთა გამოცდილებას, იქ მდგომარეობა ურიგო არ არის. წელს რესპუბლიკაში მდგომარეობა, შარშანდელთან შედარებით, უკეთესია. მაგრამ, სამწუხაროდ, არის ისეთი ფერმები, სადაც პირუტყვის მოვლა-პატრონობის საქმე თვითდინებაზეა მიშვებული და მდგომარეობაც სავალალოა. ამასთან პირუტყვის მაღალხარისხოვანი საკვების მოსამარაგებლად შარშან თავის დროზე ვერ იზრუნეს და ახლა უჭირთ ნორმალურად გამოზამთრება, პროდუქტების დამზადება.

როგორ მიმდინარეობს პროდუქტების შესყიდვა?

საერთოდ, რესპუბლიკაში 1 მარტისათვის ხორცის (პირუტყვისა და ფრინველის) შესყიდვის პირველი კვარტლის გეგმა 67 პროცენტით არის შესრულებული, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 413 ტონით მეტია შესყიდული. ხორცის შესყიდვის საქმე შარშანდელთან შედარებით უკეთესად მიმდინარეობს აბაშის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, ზუგდიდის, ქაჯრელის, კასპის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, თელავის, ხაშურის, ხობის, წალენჯიხის, წითელწყაროს, წულუკიძის და სხვა რაიონებში, აგრეთვე აჯარასა და სამხრეთ ოსეთში. ხორცის შესყიდვა შარშანდელთან შედარებით ჩამორჩა აფხაზეთის სსს რესპუბლიკაში, ადიგენის, დმანისის, დუშეთის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონებში.

რძის შესყიდვაც შარშანდელთან შედარებით უბიერესი ტემპით მიმდინარეობს რესპუბლიკაში. ამ საქმეში დაწინაურდნენ აფხაზეთის სსსრ, აბაშის, ახალქალაქის, გარდაბნის, დმანისის, მახარაძის, სიღნაღის, თეთრი წყაროს და მთელი რიგი სხვა რაიონები.

კვერცხის შესყიდვა განსაკუთრებით წარმატებით მიმდინარეობს აჭარის სსს რესპუბლიკაში, ახალქალაქის, ბოლნისის, ვანის, გარდაბნის, ზესტაფონის, საგარეჯოს, საჩხერის, თეთრი წყაროს, ცხაკაიას და სხვა რაიონებში. ჩამორჩენაა აფხაზეთის სსს რესპუბლიკაში, დუშეთის, ზუგდიდის, ქაჯრელის, კასპის, ხაშურის და სხვა რაიონებში.

რა თქმა უნდა, პირველი კვარტალის გარკვეული დრო წინ არის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩამორჩენილი რაიონები გადამწყვეტ ღონისძიებებს განაზორციელებენ, რათა მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვალოს.

ᲛᲘᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲨᲢᲐᲑᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ

ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის ერთიანი გენსაიჯარო ორგანიზაცია — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „კავკასგვირაბმშენის“ სამმართველო. მისი მისამართია: თბილისი, ნატო ვაჩნაძის ქუჩა № 6.

ახალი სამმართველოს უფროსმა ა. ი. ჩალაძემ საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— 180 კილომეტრამდე სიგრძის რკინიგზა დაიწყება სოფელ ბარისახოსთან, გაივლის მდინარე არაგვის ხეობას, გაემართება არხოტის უღელტეხილისაკენ, დადაკვეთს კავკასიონის მთავარ ქედს, გავა ქალაქ ორჯონიკიძისაკენ და შეამოკლებს გზას ქვეყნის ცენტრალური რაიონებიდან ამიერკავკასიაში. ახალი ტრასა შესაძლებელს გახდის განიტვირთოს შავი ზღვის რკინიგზის ხაზი.

ტრასის ნახევარზე მეტი გაივლის 1100 მეტრზე ზღვის დონიდან, ხოლო ყველაზე გრძელ გვირაბთან იგი თითქმის კილომეტრნახევრით სამაღლეს „მიიწევს“.

სამმართველომ გაიერთმთლიანა ყველა სამშენებლო სამსახური დიდი კავკასიონის ქედის სამხრეთ და ჩრდილოეთ უბნებზე — ყინვალში, დუშეთში, ბარისახოსა და თარგამში. ახლა მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს: იქმნება სამშენებლო მოედნები, ეწყობა საუღელტეხილო ბაზა ტექნიკისათვის, გაჰყავთ საავტომობილო გზა, დაიწყო მუშათა დაბებისა და ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა.

ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ ᲒᲕᲘᲙᲐᲠᲜᲐᲮᲔᲑᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ

▲▲

ᲒᲐᲡᲬᲚᲘ წლის დამლევს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების საფუძველზე საექსპლოატაციოდ მიიღეს 18 საცხოვრებელი სახლი, ორი საბავშვო ბაღა-ბაღი, ერთი სკოლა, ორი საავადმყოფო და ორი პოლიკლინიკა, რომელთა სამშენებლო მზობა არ შეესაბამებოდა მოქმედ ნორმებს, მაკონტროლებელი ორგანოების მიერ წარმოდგენილი აქტებით ისინი გამოირიცხა შესრულების ანგარიშიდან.

გამოვლენილ დარღვევებს გარკვეული შეფასება მისცეს, მაგრამ გარდაქმნის პირობებში ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ამ სფეროში შესაბამისი წესრიგის დამყარებისათვის. წამატებებისა და თვალის ახვევის ფაქტები, რომლებიც დაუშვეს ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემისას ქალაქ თბილისში, და „კაპიტალურ მშენებლობაში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები მთელი სიმწვავით, პრინციპულად განიხილეს თბილისის საქალაქო საბჭოს სესიაზე.

მომხსენებელმა — პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ალავიძემ, სხვა ორატორებმა აღნიშნეს უაღრესად არადამაკმაყოფილებელი ვითარება საქართველოს დედაქალაქის სამშენებლო ორგანიზაციათა საქმიანობაში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს გამოწვეულია რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს სტრუქტურული ქვეგანყოფების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებით, იმით, რომ შემკვეთები თავიანთი პირდაპირი მოვალეობების შესრულებისას უგულებელყოფენ სახელმწიფო დისციპლინის მოთხოვნებს, და საერთოდ უპრინციპოდ ეკიდებიან საქმეს სამშენებლო კონვეიერთან დაკავშირებული ორგანიზაციები.

დეპუტატებმა კრიტიკულად გააანალიზეს შექმნილი ვითარება რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაში პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის სერიოზული დარღვევების, ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის ერთიანი გენ

პარტიული ცხოვრება:

მომკითხავ ელოგის სკჯომი

მხოლოდ უკომპრომისო ბრძოლით

მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში მაიაკოვსკის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს.

აგროსამრეწველო გაერთიანების სისტემის ორგანიზაციებმა ვადაზე ადრე შეასრულეს აგრეთვე ხორცისა და რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმები.

გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის გეგმა, მარცვლეულის მიყიდვის დავალება, მეცხოველეობისათვის საკვების დამზადების გეგმები. კარგად იშრომეს რაიონის მებოსტნეებმაც. მათ სახელმწიფოს ათას ტონაზე მეტი ბოსტნეული მიჰყიდეს, რაც საგეგმოს 150 ტონით აღემატება, ამასთან გაფართოეს ბოსტნეულის ასორტიმენტი.

მიუხედავად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსთვის ყურძნის მიყიდვის სახელმწიფო გეგმები.

ამავე დროს ყურადღების ცენტრშია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხები. მარტო მეთრამეტე ხუთწლედის მანძილზე რაიონში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ასზე მეტი ობიექტი ამოქმედდა.

ეს ციფრები და ფაქტები უფრო დიდ შინაარსს იძენს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ რაიონში საკმაოდ ეფექტიანია ბრძოლა წარმატებებისა და თვალისახვევის ლიკვიდაციისა და თავიდან აცილებისათვის.

ჯერ კიდევ 1985 წელს რაიონის პარტიული აქტივის კრებამ განიხილა საკითხი, რომელიც პირველადი აღრიცხვის მოწესრიგების სამმეში რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებას ეხებოდა. აქტივის კრებაზე გამოიკვეთა საქმიანობის ძირითადი მიმართულება, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაზრდა პირდაპირ არის დაკავშირებული აღრიცხვა-ანგარიშგების საკითხებზე პარტიული ზეგავლენის გაძლიერებასთან. ამით შეიქმნება მდგომარეობა, როდესაც ადამიანებმა იციან, რომ აღრიცხვას ექვემდებარება არა მარტო მატერიალური და ფინანსური კატეგორიები, არამედ ზუსტად აღინუსხება ვინ ვინ არის, დაიანგარიშება ადამიანთა მუშაობისა და ქცევის, შრომისა და ცხოვრების შედეგები.

შარშან, აპრილში პარტიის რაიკომის პლენუმმა იმსჯელა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანებზე და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. დაეკალათ პირველად პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სამეურნეო ორგანოებს ყრილობათა მითითებების შესაბამისად ძირეული გარდატეხა მოახდინონ მუშაობის სტილისა და მეთოდების გასაუმჯობესებლად.

ამავე დროს, სახალხო კონტროლის კომიტეტს, პროკურატურას, შინაგან საქმეთა განყოფილებას და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებს დაეკალათ გამოვლინონ წამატებისა და თვალისახვევის ყოველი ფაქტი, მტკიცედ იბრძოლონ ამ მხრივ რაიონში სანიმუშო დისციპლინის დამყარებისათვის.

სულ მალე პარტიის რაიკომის ბიუროომ განიხილა წითელხევის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის საკითხი. ბიუროომ არასწორად ჩათვალა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის, სკკპ წევრის გ. სირბილაძის და გამგეობის სხვა წევრების მოქმედება, რაც იმით გამოიხატა, რომ მათ ოთხი ჰექტარი მიწა დასამუშავებლად გადასცეს სხვა რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, შემდეგ მიღებული მოსავალი თვითონ შეისყიდვინეს, რითაც აშკარად უგულებელყვეს საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპები. ამავე დროს ეს აქტი გამგეობის სხდომის ოქმით დაკანონდა, რაც აშკარა თვალისახვევის ფაქტია. ასეთი და სხვა სახის დარღვევებისათვის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გ. სირბილაძე გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა ზოგიერთ კოლმეურნეობაში აღმოაჩინა ფაქტები, როცა საზოგადოებრივ პირუტყვთან ერთად აზამთრებენ მწყემსების კერძო პირუტყვს და მათ გამოკვებაზე დახარჯულ საკვებს დაწერენ კოლმეურნეობის პირუტყვს, ნაცვლად იმისა, რომ იგი ანაზღაურებინონ კერძო მფლობელს. ფერსათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში შემოწმების დროს გამოსახმთრებლად აღმოჩნდა 16 სული სხვადასხვა ასაკის კერძო პირუტყვი, როშელთა გამოკვებაზეც მხოლოდ ორი თვის მანძილზე 535 მანეთის საკვები დაიხარჯა. ასევე კერძო პირუტყვის გამოკვებაზე დროის იგივე მონაკვეთში ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში დაიხარჯა 597 მანეთის საკვები.

ხშირად კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები საჭირო ღონისძიებებს არ მიმართავენ პირუტყვის დასადგენად და ამ საქმეში დამნაშავეთათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. ისინი კი გაწყვეტილ პირუტყვს კანონის ყოველგვარი დარღვევით ჩამოწერენ ხოლმე და კოლმეურნეობას აზარალებენ. ასე ჩამოწერეს ოთხი სული საქონელი საკრაულას მაიაკოვსკის სახელობის კოლმეურნეობაში. ამ საქონლის საერთო ცოცხალი წონა კი 530 კილოგრამი იყო, რაც ფულზე გადაყვანით 1060 მანეთს შეადგენს. ფაქტობრივად

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა

მიმდინარე წლის პირველი კვარტალის წარმატებით დამთავრებისათვის რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მრავალმა მუშამ იკისრა კონკრეტული სოციალისტური ვალდებულება და პირნათლადაც ასრულებს მას. ამას „კომუნისტის“ რედაქციას ატყობინებენ „ბიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანებიდან და ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტიდან, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნიდან და მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატიდან, ფოთის ბიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი და ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენებელი ქარხნებიდან...

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისთვის, პირველი კვარტალის ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა აგრეთვე „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანების ბაგრატგნილე საამქროს ის ბრიგადა, რომელსაც ც. დიღმელაშვილი ხელმძღვანელობს.

სურათზე: ც. დიღმელაშვილი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ ● „კომუნისტს“ უპასუხებენ

მკაცრად იმსჯელეს

მძარცველები ავ საქმეებზე იყო ლაპარაკი ჩვენი გაზეთის 11 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „თავდასხმა ღამით“, რომელიც თეთრი წყაროს რაიონში მომხდარ ფაქტს ეხებოდა. ამაზე რედაქციამ ორი პასუხი მიიღო, რომლებშიც გვწერენ:

ბ. კვანტალიანი — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე: **გაზეთი „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მყოფ ზ. ივანაურს, რომელსაც მისჯილი ჰქონდა ერთი წლის ვადით გამასწორებელი სამუშაოები და სასჯელს იხდიდა თიანეთის რაიონის ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობაში, ადგილობრივმა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებამ არ დაუწესა სათანადო კონტროლი, რის გამოც მას მიეცა საშუალება ჩაედინა ახალი დანაშაული.**

ახმეტის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორი ა. ჯავახიშვილი, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე ცხოვრობდა ადრე ნასამართლეები, დროებით უმუშევარი, დამნაშავეთა ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე ლ. ხაიაური, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დათხოვნილია შინაგან საქმეთა ორგანოებიდან. რაც შეეხება თბილისის საკარანტინო რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორს გ. იმნაძეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ცხოვრობდა დამნაშავე ჯგუფის კიდევ ერთი წევრი ვ. მაჩალოვი, რაიგანყოფილების ხელმძღვანელობამ იმსჯელა ოპერატიულ თათბირზე და მკაცრად გაიფრთხილა, თუ მომავლში განმეორდება ანალოგიური ფაქტი, იგი დათხოვილი იქნება შინაგან საქმეთა ორგანოებიდან.

ბ. ბუჯიაშვილი — თიანეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე: **გაზეთი „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატიის შესახებ იმსჯელეს რაიახმეტის აღმასკომის სხდომაზე. სტატიაში სრულიად სამართლიანად იყო გაკრიტიკებული ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობა და შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება. მათ არ დაუწესეს კონტროლი მსჯავრდებულ ივანაურს, რომელმაც განმეორებით ჩაიდინა დანაშაული. რაიახმეტის აღმასკომმა მკაცრად გააფრთხილა ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. გოდერძიშვილი, საყვედური გამოუცხადა უბნის ინსპექტორს კ. გულბათაშვილს, ხოლო იმუშებითი შრომითი მოწყობის ინსპექტორის პ. გორელაშვილის საკითხი, სხდომაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, ცალკე განიხილება.**

ამასთან ცნობად იქნა მიღებული, რომ ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ თანამდებობიდან გაათავისუფლა ტატარაქეთა სტარაჭერო პარკის ბრიგადირი ე. ფხიკლეშვილი, ხოლო მთავარი ინჟინერი გ. როსტომაშვილი მკაცრად გააფრთხილა.

დარღვევებისათვის

დასასჯელად

ჩვენი გაზეთის 1986 წლის 25 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ მომზადებული მასალა „ოპერაცია ტარხუნა“, რომელიც რუსთავის კოკა-ვეჭრობის სისტემაში არსებულ დარღვევებს ეხებოდა. ამის გამო პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი გვწერს:

კრიტიკულ წერილში „ოპერაცია ტარხუნა“ მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ხაკითხი შეუსწავლეთ და გაზეთში მოყვანილი ფაქტების გარდა დადგინდა, რომ ქალაქის კოკა-ვეჭრობის სამეურნეო-საფინანსო სხვმიჯნობაში იყო სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევები, კერძოდ, კოკა-ვეჭრობის ათი მაღაზიიდან ოთხში შერჩევითი რევიზიის შედეგად 10 ათასი მანეთის დანაკლისი აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ კოკა-ვეჭრობის ხელმძღვანელობა სისტემატურად არღვევდა კადრების შერჩევისა და განაწილების პრინციპს, სამუშაოზე ინიშნებოდა შეუფერებელი პიროვნებები, ხშირ შემთხვევაში წარსულში სახელმწიფო ქონების დაკაცებისათვის ნასამართლევი პირებიც კი, იყო სხვა სერიოზული ნაკლოვანებები.

სტატიაში „ოპერაცია ტარხუნა“ მოყვანილი ფაქტები და შემოწმებების შედეგები. განიხილა საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიუროომ, რომელმაც კოკა-ვეჭრობის ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციის მუშაობა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური საკუთრების დაცვის, კადრების სწორი შერჩევისა და განაწილების საქმეში არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია.

სამსახურებრივი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ჩაშლისათვის კოკა-ვეჭრობის ყოფილი ბუღალტერი მ. გოგიბერიშვილი გაირიცხა სკკპ რიგებიდან.

პარტიულ და პოლიტიკურ საქმიანობაში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის კოკა-ვეჭრობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს თ. მალანაას გამოეცხადა სასტიკი საყვედური ააღრიცხვო ბარათში შეტანით. აღინიშნა, რომ იგი იმსახურებს პარტიის რიგებიდან გარიცხვას, მაგრამ მხედველობაში იქნა მიღებული მისი ქალაქის კოკა-ვეჭრობის სისტემაში მუშაობის მცირე სტაჟი. ამასთან კოკა-ვეჭრობის პარტიულ ორგანიზაციას მიეცა რეკომენდაცია მისი მდივნობიდან გადარჩევის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული, რომ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის გადაწყვეტილებით კოკა-ვეჭრობის დირექტორი შ. ნემსაძე და მ. გოგიბერიშვილი გადაყენებულნი არიან თანამდებობიდან.

შემოწმების მასალები გადაეგზავნა რუსთავის პროკურატურას.

ამჟამად პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი ახორციელებს ღონისძიებებს კოკა-ვეჭრობის სისტემაში გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების, კვალიფიციური კადრებით გაძლიერებისა და კოლექტივში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნისათვის.

ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის პროექტი, რომელზეც ლაპარაკი იყო მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე, გამოტანილია მშრომელთა სამსჯავროზე. სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად, ეს კანონი აწესებს სახელმწიფო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს, განამტკიცებს წარმოების საშუალებათა სახელმწიფო საკუთრებას მრეწველობაში, მშენებლობაში, აგროსამრეწველო კომპლექსსა და სხვა დარგებში. აფართოებს საწარმოს მართვაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა გადაწყვეტაში მშრომელთა კოლექტივების მონაწილეობის შესაძლებლობას. კანონი ითვალისწინებს მართვის ეკონომიკური მეთოდების გაძლიერებას, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების ფართო გამოყენებას.

ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ

სრულვყოთ სამეურნეო მექანიზმი

დადგა დრო ავიღოთ მეურნეობრიობის ხელახალი ორიენტაციის კურსი, ძირფესვიანად გარდავქმნათ მუშობა, უაუვაგდოთ უსისტემო, მოუქნელი, ეკონომიკურად ყოვლად გაუმართლებელი მოქმედება, გამოვიჩინოთ მეტი დამოუკიდებლობა და ინიციატივა, ხელი ავიღოთ სხვის მოიმედეობაზე.

წლების განმავლობაში სამეურნეო მუშობის თითქმის ყველა ძირითად მაჩვენებელს გეგმავდნენ მართვის ზემდგომი უწყებრივი და სახელმწიფო ორგანოები. საწარმოს ხელმძღვანელთა ყოველი ინიციატივა თვითნებობად ითვლებოდა, რისთვისაც არა ერთი და ორი ხელმძღვანელი დაუსჯიათ. პასუხისმგებლობა კი სამეურნეო შედეგებისათვის მოლიანად საწარმოს ხელმძღვანელებს ეკისრებოდა.

დამკვიდრდა უფლებების და მოვალეობის შეუსაბამობა, რამაც წარმოების ხელმძღვანელთა შეგნებაში დაამკვიდრა თვითდინების, თვითმყოფადობის, უინიციატივობისა და სახელმწიფოს იმედზე ყოფნის ტენდენცია: შემოქმედებითი ხელმძღვანელობის ნაცვლად უპირატესად კარნახისა და მითითების მეთოდი გამოიყენებოდა.

ამ დიდი ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის ჯერ კიდევ 1979 წელს მიიღეს პარტიამ და მთავრობამ დადგენილება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ. მას შემდეგ უკვე ვვიდი წელი გავიდა და გამოირკვა, რომ ამ სისტემით მუშაობა მხოლოდ ერთეულ საწარმოებს შეუძლიათ. მრეწველობის საწარმოთა უმრავლესობა მოუმზადებელი აღმოჩნდა.

როგორც პრაქტიკამ ცხადყო, სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობა მოსამზადებელ პერიოდში მეთვალყურის როლში გვევლინება, ძველებურად ელოდება სადირექტივო მითითებებს, ძირეული გარდატეხა არ შეაქვს მუშობის სტილსა და მეთოდებში, არ იჩენს გაკვლენა მოახდინა სამინისტროებისა და უწყებათა მიერ კადრების შერჩევამ და განაწილებამ. როგორც წესი, ზემდგომი ორგანოების გარეშე გაერთიანებების დირექტორებს უფლება არ ჰქონდათ დამოუკიდებლად დაენიშნათ არა მარტო მოადგილეები და განყოფილების უფროსები, არამედ საამქროებისა და ქვეგანყოფილებების უფროსებიც. არადა, თუ ზემდგომი ორგანოების მითითებით დანიშნული თანამდებობის პირი ვერ გაართმევდა თავს მოვალეობას და ჩაშლიდა საქმეს, ამაზე მაინც დირექტორი აგებდა პასუხს. დიახ, კადრების შერჩევა-განაწილებაში ზედმეტად აქტიურობდნენ ხელმძღვანელი ორგანოები, მაგრამ, თუ იგი დანაშაულს ჩაიდენდა, არავინ კითხულობდა, თუ ვის მიერ იყო ასეთი ხელმძღვანელი რეკომენდებული ან დანიშნული.

სამინისტროს სამმართველო აპარატი სარგებლობდა განსუსაზღვრელი უფლებებით და ნაკლები მოვალეობით. უმეტეს შემთხვევაში ისინი არ ასრულებდნენ თავიანთ პირდაპირ ფუნქციებს, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია საწარმოთა მუშობაზე, განსაკუთრებით კი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე.

ახლებური მუშობის პირობებში ყველაზე მტკივნეული საკითხია წარმოების დაბალი ტექნიკური დონე. როცა ამ საკითხს ვეხებით, მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ საშუალოდ თანამედროვე წარმოებათა უმრავლესობაში ხანდაზმული და მორალურად მძიმეებული მოწყობილობის ხვედრითი წილი 30-40 პროცენტს აღწევს ამდენად. წარმოების ტექნიკური განახლება ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. წარმოების ტექნიკური პოტენციალის ზრდა ერთდროული კამპანია არ არის, იგი მოითხოვს დიდ კაპიტალურ დაბანდებას და დროის განსაზღვრულ პერიოდს. ეს სამეუნეოები უნდა ხორციელდებოდეს თანამიმდევრულად, სისტემატიურად, პერსპექტივის გათვალისწინებით. საამისოდ, უპირველესად, სამინისტროები და უწყებები, დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და საკონსტრუქტორო ბიუროები უნდა ზრუნავდნენ.

წარმოების ტექნიკური დონის აუმაღლებლად შეუძლებელია პროდუქციის სახელმწიფო მიღება, ეფექტიანობის გადიდება და, მაშასადამე, სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა. ამიტომ, მუშობის ახლებურ პირობებში განსაკუთრებით ძლიერდება სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებლობა. მათი დახმარებით უნდა უზრუნველყონ საწარმოებმა მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მოწყობილობის შეცვლა. სამინისტროებს გაერთიანების მიხედვით შემუშავებული უნდა ჰქონდეთ წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების მიზნობრივი პროგრამა და უნდა ზრუნავდნენ მისი რეალიზაციისათვის. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ძირეულად გადაისინჯოს სამინისტროების ხელმძღვანელი აპარატის თითოეული ქვედანაყოფის ფუნქციები.

კოლექტივის ყოველ წევრს უნდა შთავუნერგოთ სიახლის რწმენა, მისი არსი და მნიშვნელობა, რათა იგი განეწყოს სხვა პირობებში მუშობისათვის. ეს კი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება.

დიდი ლენინი გვასწავლიდა, თუ გსურს მართო, უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო. საწარმოს მართვის თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბელადის ეს დარიგება. არაღლროს დაკისრებიათ საწარმოთა კოლექტივების ხელმძღვანელებს ისეთი დიდი პასუხისმგებლობა, როგორიც დღეს.

საწარმოო კოლექტივების წინაშე ერთდროულად მრავალი რთული პრობლემა წამოიჭრა, მათი გადაწყვეტის დრო კი საკმაოდ შეზღუდულია. საჭირო ხდება რთული სამეურნეო სიტუაციების ღრმა ეკონომიკური ანალიზი, არსებული რეზერვების გამოვლენა და მათი გამოყენების ოპტიმალური გზების შერჩევა. სამეურნეო სიტუაციები იმანაც გაართულა, რომ მოზღვავდა წარმოების მართვის ტექნიკურ განახლებასთან, პროგრესული მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებული სიახლენი. ხელმძღვანელი უნდა გაერკვეს მათში, შეისწავლოს და გამოიყენოს თავისი საწარმოს კონკრეტულ პირობებში.

ყველაფერი ეს თანამედროვე ხელმძღვანელისაგან, თითოეული სპეციალისტისაგან ღრმა თეორიულ ცოდნასა და პროფესიულ ოსტატობას მოითხოვს. წარმოების მართვის ორგანიზაციისა და დაგეგმვის საკითხთა ფართო წრეს, რომელებსაც წინათ სამინისტროს ხელმძღვანელები და სპეციალისტები წყვეტდნენ, საწარმოო გაერთიანებაში გადმოინაცვლა. ამიტომ საჭირო ხდება ახალი დონის სპეციალისტთა მომზადება და გადამზადება. მოსამზადებელ პერიოდში სამეურნეო მექანიზმის წარმატებული მოქმედება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ახალი ტიპის ხელმძღვანელი კადრების მომზადებაზე, განსაკუთრებით კი მათი ეკონომიკური ცოდნის დონის ამაღლებაზე.

პ. ჩაგელიშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების წლიურ საერთო კრებაზე, რომელიც თბილისში გაიმართა, განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარის, აკადემიკოს ვ. მეტრეველის საანგარიშო მოხსენებაში, აზერბაიჯანის სსრ სახალხომრეწვის თავმჯდომარის მოადგილის მ. ბაბაევის, სომხეთის სსრ სახალხომრეწვის თავმჯდომარის მოადგილის ს. კაზარიანის თანამოხსენებებში, ამიერკავკასიის განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ვ. მდივნისა და სხვების გამოსვლებში აღინიშნა გაწეული მუშაობა, პრობლემები, რომლებიც მეცნიერთა წინაშე დგას სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების საქმეში, განსაზღვრა ახლანდელ ხუთწლედში აგრომრეწვის მეცნიერული უზრუნველყოფის ამოცანები. მეცნიერებმა აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელებს არსებითი დახმარება გაუწიეს მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგის უკუგების გადიდებაში გადამშუშავებელ მრეწველობაში.

ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების წლიურ საერთო კრებაზე, რომელიც თბილისში გაიმართა, განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარის, აკადემიკოს ვ. მეტრეველის საანგარიშო მოხსენებაში, აზერბაიჯანის სსრ სახალხომრეწვის თავმჯდომარის მოადგილის მ. ბაბაევის, სომხეთის სსრ სახალხომრეწვის თავმჯდომარის მოადგილის ს. კაზარიანის თანამოხსენებებში, ამიერკავკასიის განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ვ. მდივნისა და სხვების გამოსვლებში აღინიშნა გაწეული მუშაობა, პრობლემები, რომლებიც მეცნიერთა წინაშე დგას სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების საქმეში, განსაზღვრა ახლანდელ ხუთწლედში აგრომრეწვის მეცნიერული უზრუნველყოფის ამოცანები. მეცნიერებმა აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელებს არსებითი დახმარება გაუწიეს მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგის უკუგების გადიდებაში გადამშუშავებელ მრეწველობაში.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲐᲪᲔᲡᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲝᲑᲐ

ᲒᲐᲠᲓᲐᲓᲐᲛᲬᲘᲡ პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაობა ატესტაცია. გუშინ სკკპ ცენტრალური კომიტეტის [illegible] სხდომაზე მოიწონეს წინადადებანი მისი მოწყობის შესახებ. ატესტაცია ნიშ[illegible] კადრებსა სერიოზული გამოცდა უნდა ჩაუბარონ. ატესტაცია ნიშ[illegible] ადამიანთა მუშაობის კოლექტიური შეფასების ქმედითი ფორმა[illegible] იგი სტიმულს მისცემს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის ზრდას. ამიტომ ატესტაცია უნდა მოეწყოს პრინციპულობის, ობიექტურობისა და ფართო საჯაროობის ვითარებაში.

დედაქალაქის ერთ-ერთი რაიონის — მოსკოვორეკების რაიონის ასეთი მუშობის ბოლოდროინდელი შესახებ მოგვითხრობს საკდესის კორესპონდენტი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საღამოა, რაიაღმასკომი საგსეა ხალხით. ეს-ეს არის დამთავრდა მოკალაქეთა მიღება. თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ვ. ა. რუმიანცევს ისეთი დაღლილი სახე აქვს, რომ, ეტყობა, მიღება არც ისე ადვილი იყო. მაგრამ ვლადიმერ რუმიანცევს სიძნელეების გამო არ დაუჩოქია:

— მივიღეთ ყველა, ვინც ჩაწერილი იყო. ზოგს მაშინვე დავეხმარეთ, სხვების საქმეში უფრო საფუძვლიანად უნდა გავერკვეთ. ზოგმა კი საფიქრალი გაგვიჩინა.

დიახ, ეს ადვილი თანამდებობა როდია — ნიადაგ გეჩინდეს კავშირი ადამიანთა საჭიროებებთან და საზრუნავთან.

— აქ მარტო გამჭრიახი გონება, კანონმდებლობის ღრმა ცოდნა არ არის საკმარისი. ხომ ასეა, პატივცემულო ვლადიმერ?

— ვფიქრობ, აღმასკომის მუშაკს არანაკლებად უნდა შეეძლოს თანაგრძნობა, იმათი მდგომარეობის გაზიარება, ვინც დახმარებისათვის მიმართავს. და კიდევ ის, რომ იყოს ინიციატივიანი, ენერგიული. სამწუხაროდ, ამ ცოტა ხნის წინათ სწორედ ეს თვისებები აკლდა ჩვენს ზოგიერთ მუშაკს. ჰოდა ამიტომაც წლების მანძილზე ვერ წყდებოდა ბევრი ცხოვრებისეული პრობლემა. ამის შედეგად კი ვკარგავდით ამმრჩეველთა ნდობას.

— თქვენ ბრძანეთ — „აკლდათო“. ახლა როგორ არის საქმე?

— ბოლო ხანს აპარატის მუშაობის სტილი გაუმჯობესდა. ცოდვა გამხელილი სჯობს, და უნდა გითხრათ, რომ თუ წინათ მეცადინეობა იფარგლებოდა იმის ძიებით, ვისთვის შეიძლებოდა დაეკისრებინათ ესა თუ ის საქმე, ახლა სულ უფრო ხშირად სრულიად სხვა სურათი შეინიშნება. გაჩნდა მეტი პასუხისმგებლობა, საბოლოო შედეგებით დაინტერესება. გაუმჯობესდა საშემსრულებლო დისციპლინა. ადამიანები ცდილობენ აუცილებლად ბოლომდე მიიყვანონ დაწყებული საქმე. მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარებაც კი სხვაგვარია ახლა. აღმოიფხვრება უსულგულობა, ბიუროკრატიზმი, საქმიანობის იმიტაცია.

სასწაული არ მომხდარა. აღმასკომის კოლეგიური გამოფხიზლა ეს-ეს არის დამთავრებულმა კადრების ატესტაციამ. ავტორიტეტიანი კომისიის წინაშე, რომელშიც შევიდნენ აგრეთვე პარტიის რაიკომის, მოსკოვის საბჭოს მუშაკები, წარდგა ყველა თანამშრომელი. რა თქმა უნდა, იმათი გამოკლებით, ვინც არჩია უფრო ადრე წასულიყო, ვინაიდან ეგრძნო, ალბათ, სიმტკიცის შემოწმებას ღირსეულად ვერ გავუძღებო. დანარჩენებს სერიოზულად უნდა ჩაებარებინათ ანგარიში არა მარტო თავიანთი მიღწევების, არამედ შეცდომების, ხარვეზების, ნაკლოვანებების შესახებაც. თითოეული მათგანის გარკვევაში დაგეგზავნა პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების შეფასება, მათი კოლეგების, ხელმძღვანელების აზრი.

პირუთვნელმა, მაგრამ ნამდვილად ამხანაგურმა სჯა-ბაასმა აიძულა ადამიანები, მათ შორის დამსახურებულებიც, რომლებსაც თავი კრიტიკისაგან დაცულად მიაჩნდათ, სხვისი თვალით შეეხედათ საკუთარი თავისთვის და ამან უმრავლესობას შესაძლებლობა მისცა ძალა მოეკრიბა, უფრო გაეტეხერებულიყო. განისაზღვრა იმ მუშაკთა წრეც, რომლებიც დღეს ვეღარ აკმაყოფილებენ თავიანთი თანამდებობის მოთხოვნებს. აღმასკომის ერთ-ერთმა განყოფილებამ ატესტაციის დროს შემადგენლობის 70 პროცენტი დაკარგა. კომისიამ მის თანამშრომლებს ბრალად დასდო საქმის გაჭიანურება, აქ მოსულ ადამიანებთან მუშაობის უუნარობა. ზოგიერთს მიეცა დრო გამოესწორებინათ ნაკლოვანებები — მათ ერთი წლის შემდეგ ხელმეორე ატესტაცია ელით.

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ რაც უნდა მნიშვნელოვანი ყოფილიყო აღმასკომის მუშაკისადმი პრეტენზიები, მას ელოდა შესაძლებლობა გამოეთქვა თავისი აზრი, მოეყვანა კონტრარგუმენტები. დიდი მომთხოვნელობის და განხილვის დემოკრატიულობის ასეთი შეხამება ატესტაციის მთავარი პრინციპი გახდა.

სხვათა შორის, მისი მიზანი იყო არა მარტო მისწრაფება გამოეკვლინა ისინი, ვინც უხეიროდ მუშაობს, არამედ შეეყვანა კიდევ ხელმძღვანელ თანამდებობათა რეზერვში ღირსეული, პერსპექტიული მუშაკები. მაგალითად, კომისიას უფლება ჰქონდა გადაეყვანა წილებინა ხელფასის ფონდი, გადედიებინა ან შეემცირებინა იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. სწორედ ატესტაციამ დაანახა ნოუოა უფრო მაღალ პოსტებზე ლუდმილა ივანეს ასული

უკვდავი სახება

ილია ჭავჭავაძის იკონოგრაფიისათვის

საკმაოდ არის გავრცელებული მცხეთის არქეოლოგიურ გათხრებზე გადაღებული ილია ჭავჭავაძის ფოტოსურათი. მაგრამ დასაზუსტებელია ამ სურათთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი. ვერც იმას ვიტყოდით, თითქოს მისი გადაღების ამბავი იყოს მაინცდამაინც კარგად ცნობილი და სადმე მოთხრობილი.

სურათის დედანი დაცულია ლიტერატურულ მუზეუმში (№7628. ი). დედანზეც და მისგან მომდინარე ფოტოპირებზე ყველგან ვკითხულობთ: „ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი ბაქრაძე მცხეთის არქეოლოგიურ გათხრებზე“.

ვფიქრობთ, ეს ცნობა არ უნდა იყოს სწორი. დიმიტრი ბაქრაძე არ არის ილია ჭავჭავაძესთან ამ სურათზე წარმოდგენილი.

მაგრამ სანამ ამ საკითხს შევეხებოდეთ, ჯერ უნდა ვიცოდეთ, რომელ წელს არის გადაღებული ეს სურათი და მცხეთის რომელი არქეოლოგიური გათხრები იგულისხმება აქ? როგორც ვთქვით, არც ეს საკითხებია დღემდე დაზუსტებით გამორკვეული.

ამის დასადგენად ჩვენ უნდა მივმართოთ აკადემიკოს ე. თაყაიშვილის „მოგონებებს“.

ე. თაყაიშვილის გადმოცემით, 1889 წელს ილია ჭავჭავაძესთან, როგორც „ივერიის“ რედაქტორთან და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარესთან, და, საერთოდ, როგორც ყოველი ქართული საქმის ჭირისუფალთან მისულა ერთი ბერძენი, მიუტანია იატაკის დიგატურიანი ქვები და უთქვამს, რომ მცხეთის მიდამოებში — ბაგინეთში, ერთ ძველ კოშკში ვიპოვეო. ილიამ სთხოვა დიმიტრი ბაქრაძეს, როგორც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს და ამის გამო არქეოლოგიური გათხრის უფლების მქონეს, გაეთხარა ეს ადგილები. გათხრისათვის საჭირო თანხა (100 მანეთი) გაიღო პროფ. იე. ოქრომჭედლიშვილმა. მაგრამ დ.ბაქრაძემ, რომელიც მაშინ უკვე ხანში შესული კაცი იყო, ვერ შეძლო ეს საქმე და იგი ე. თაყაიშვილს გადაუღია. ამ უკანასკნელმა კი, რომელიც სათავადაზნაურო სკოლაში გაკვეთილებით მეტისმეტად იყო გადატვირთული, გათხრისადმი უშუალო მეთვალყურეობა დ. ქუთათელაძეს მიანდო, თვითონ კი ღღეგამოშვებით ადიოდა მცხეთაში. მუშაობა სულ სამ კვირას გაგრძელდა და, რაკი ფული გამოიღია, შეწყდა. მიუხედავად ასეთი ხანმოკლე არქეოლოგიური გათხრისა, მაინც რამდენიმე საგულისხმო სიძველის ნაშთი (რკინის ისრისპირები, მძივები, სხვადასხვა ფერის მინის ნატეხები, მოხატული კედლები. მათ შორის ერთი ნახატი ქალღმერთის თავი და სხვ.) მოუპოვებიათ. როცა ილიას ანგარიში მოუთხოვია, კმაყოფილი დარჩენილა და უთქვამს: „გამორკვეულა, რომ კოშკი რომაული დროისა ყოფილა, რამდენსმე სარეველ შეიცავდა და თან კედლებიც მოხატული აქონიაო. ეს მანეთად მარტო იმ ქალღმერთის თავის სურათი ღირსო!“ (გ. ღომათათიძის რედ. თბ, 1968, გვ.371 — 372).

სწორედ ილია ჭავჭავაძის მიერ წამოწყებული ამ არქეოლოგიური გათხრებით ჩაეყარა საფუძველი არმაზციხის მეცნიერულ შესწავლას, რომელიც 1937 წლიდან გაშალა მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აკადემიკოსების ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას ხელმძღვანელობით და „... 1948 წლამდე ჩატარებული მუშაობის შედეგად იქ დიდი აკროპოლის, შიდაციხის ზღუდისა და მის მიგნით კი თღიღი ქვის შენობათა ნანგრევები და მდიდრული სამარხები აღმოჩნდა. ამჟამად უკვე დადგენილად ითვლება, რომ სწორედ აქაა მიგნებული არმაზციხე, ანუ ძველი ედეკაქაქის შიდაციხე“ (იხ. მცხეთა, ტ. 1, თბ. 1955, გვ.5).

აი სწორედ ბაგინეთის 1889 წლის პირველი გათხრები და აქ სტუმრად მყოფი ილია ჭავჭავაძეა წარმოდგენილი ამ სურათზე. ოლონდ მის გვერდით მდგომი, ილიასთან შედარებით ახალგაზრდა თეთრკოსტუმიანი მამაკაცი (ქოლგაზე დაყრდნობილი) არ შეიძლება დიმიტრი ბაქრაძე მივიჩნიოთ, რადგან დ. ბაქრაძე ილიაზე ათი წლით უფროსი იყო (დაბადებული გახლავთ 1826 წელს) და ამ დროისათვის (1889 წ.) უკვე საკმაოდ ჯანგატეხილიც, იქამდე, რომ მაღე (1890 წლის 10 თებერვალს) გარდაიცვალა კიდეც. სურათზე ილიას გვერდით გამოსახული მამაკაცი კი ილიაზე გაცილებით ახალგაზრდად გამოიყურება, შავი წვერ-ულვაშით, მაშინ როდესაც დ. ბაქრაძე ამ დროს გაჭაღარავებული იყო (შდრ. მის იმდროინდელ სურათს. იხ. მ. დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი 1950 გვ. 81).

ვფიქრობთ, რომ სურათზე ილიას გვერდით მდგომი უნდა იყოს მეორე ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და ილიას თანამებრძოლი (ამ დროს უკვე „ივერიის“ რედაქციისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი) მოსე ჯანაშვილი, რომელიც სახით ჰგავს კიდეც მას და ასაკითაც მართლაც ილიაზე უმცროსი იყო (დაბადებულია 1855 წ.).

მართალია, ე. თაყაიშვილი „მოგონებებში“ კი აღნიშნავს, რომ ბაგინეთში „დ. ბაქრაძე ერთხელ იყო ადგილზეო“, მაგრამ სურათზე არც ილიას უკან რიგში მყოფთა შორის შეინიშნება დიმიტრი ბაქრაძე (თუმცა არც ე. თაყაიშვილი ამბობს სადმე, რომ დ. ბაქრაძე მაინცდამაინც ილია ჭავჭავაძეს ამოპკვა „იმ ერთხელო“) და ძნელი წარმოსადგენიც არის, რომ ისეთი ღვაწლმოსილი და ხანდაზმული მეცნიერი, როგორც დიმიტრი ბაქრაძე გახდადა, ილიას უკან დაეყენებინა.

მაშასადამე, ნათქვამს თუ შევაჯამებთ, გამოდის, რომ აქ წარმოდგენილ სურათზე გამოსახულია ილია ჭავჭავაძე და მოსე ჯანაშვილი მცხეთაში, ბაგინეთის არქეოლოგიურ გათხრებზე ყოფნის დროს, 1889 წელს. და რარიგ საგულისხმოა, რომ ქართული არქეოლოგიის მეცნიერულ სათავეებთანაც ისევ ერის მამას ვხედავთ.

გურამ შარაძე.

„საერთო მსოფლმხედველობა გვაქვს“

სუზანა ბაუერმანს სურნელოვანი იებისა და მიმოზების თაიგული ამ კვირა დღეს მარტო როგორც სტუმარს როდი მიართვეს. საერთაშორისო ქალთა დღეს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტში გაიმართა შეხვედრა საარის მხარის გერმანელი მუშა ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის თავმჯდომარესთან. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეგობრული ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი მონაწილეობდა საქართველოს კომკავშირის ყრილობის მუშაობაში.

საარის მხარის წარმომადგენლები ჩვენი რესპუბლიკის ხშირი სტუმრები არიან. უკვე ათ წელიწადზე მეტია, რაც თანამელებთან გერმანელმა ახალგაზრდობამ მეგობრული ურთიერთობა დაამყარა.

— ჩვენ იმიტომ დავმეგობრდით, — აღნიშნა საქართველოს კომკავშირის ყრილობაზე თავის გამოსვლაში ს. ბაუერმანმა, — რომ ერთნაირი სოციალისტური მსოფლმხედველობა გვაქვს. ერთად ვიბრძვით ყველაზე მნიშვნელოვანი საქმის — დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ამ სიტუაციაში არ არსებობს იმაზე უფრო დიდი ამოცანა, ვიდრე ის, რომ შევაჩეროთ ომის გამჩაღებლები და დავიცვათ ჩვენი პლანეტის მცხოვრებთა მშვიდობიანი მომავალი. საქართველოში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მის ახალგაზრდობას, ისე როგორც ჩვენც სამშობლოში, მსგავსი სურვილები და იმედები გვაქვს — მათ სურთ მშვიდობა, სიხარული და უბრალოდ ბედნიერი ცხოვრება.

სტუმარი გაეცნო თბილისის ღირსშესანიშნაობებს, ეწვია გორსა და გურჯაანს. (საქინფორმი).

პარტნიორობა სასაზღვრო

ჩვენ ერთმანეთს რამდენიმე ათასი კილომეტრი გვაშორებს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს სლოვენიის სოციალისტური ახალგაზრდობის რესპუბლიკური კონფედერაციის მდივანმა დანიელ ბოჟიჩმა, — მაგრამ ჩვენი ქვეყნების ახალგაზრდობის სურვილები და მიზნები ერთმანეთს უახლოვდება.

იუგოსლავიის დელეგაცია მონაწილეობდა რესპუბლიკის კომკავშირის XXXIII ყრილობის მუშაობაში. საქართველოს კომკავშირის 850-ათასიანი რაზმის წარმომადგენლები გულთბილად მიესალმნენ მეგობარი ქვეყნის წარმომადგენს, აღნიშნა მან, ეცდება იმის მიღწევას, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ მთელი თავისი გავლენა გამოიყენოს ამ პრობლემის დადებითი გადაწყვეტისა და შესაბამისი შეთანხმების დადების მიზნით.

ლონდონი. **„ისტორიული მნიშვნელობის ინიციატივა“ უწოდა სსრ კავშირის წინადადებას ევროპაში საშუალო სიშორის ყველა საბჭოთა და ამერიკული რაკეტის ლიკვიდაციის შესახებ** დიდი ბრიტანეთის ყველაზე მასობრივი ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციის—ბირთვული განიარაღების მომხრეთა მოძრაობის თავმჯდომარის მოადგილემ ბრიუს კენტმა. ეს წინადადება იმით არის უნიკალური, წერს ბ. კენტი გაზეთ „გარდიანში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომ იგი მიმართულია პლანეტის ყველა ადამიანისადმი და ასახავს კაცობრიობის წინაშე მდგომ ყველაზე გადაუდებელ ამოცანას — ჩვენი პლანეტის განთავისუფლებას ბირთვული არსენალისაგან. დასავლეთმა უნდა გაიგოს, აღნიშნავს ბ. კენტი, რომ სსრ კავშირთან ძალის პოზიციიდან მოლაპარაკების წარმოებას ყოველგვარი ცდა საშიში თამაშია.

„ეს იყო კარგი მოგზაურობა“

სენატორი პრაიორი სსრ კავშირში მოგზაურობის შესახებ

ვაშინგტონი. **საკდესის კორ. იგორ ბორისენკო გვიყოფენებს:** „ეს იყო კარგი მოგზაურობა“, — ასე განაცხადა სსრ კავშირში დამთავრებული თავისი ვიზიტის შესახებ დემოკრატია სენატორმა არკანზასის შტატისაგან დევიდ პრაიორმა. იგი მეთაურობდა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური, საქმიანი და საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენელთა დელეგაციას, რომელიც ესტუმრა მოსკოვსა და ლენინგრადს. „მოგზაურობის დროს გვაინტერესებდა რუსების პასუხი კითხვაზე: „რის გაკეთება შეგვიძლია ერთობლივად?“ — თქვა სენატორმა პრაიორმა პრესკონფერენციის დროს, რომელიც ორმაბათს გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის შენობაში. — რეაქცია ძალზე პოზიტიური იყო“. როგორც მან თქვა, დელეგაციის წევრ ბიზნესმენებს აინტერესებდათ, შესაძლებელია თუ არა საბჭოთა ორგანიზაციებთან ერთობლივი პროექტების განხორციელება. ამასთან, მან აღნიშნა, რომ არკანზასის ფერმერთა მინდვრებში იყენებენ საბჭოთა ტრაქტორებს. სენატორმა თანამშრომლობის ერთ-ერთ შესაძლო დარგად მიიჩნია მავნე სამრეწველო ნარჩენებისაგან გარემოს დაცვის პრობლემა. ერთობლივი პროექტები, ხაზი გაუსვა სენატორმა, შეიძლება გახდეს ხიდები ჩვენს ხალხებს შორის.

რა შთაბეჭდილება დარჩა სენატორს საბჭოთა კავშირის საშინაო ცხოვრების შესახებ სსრ კავშირში ბოლო რვა წლის განმავლობაში მეორე მოგზაურობის შემდეგ? „დავრწმუნდით, რომ საბჭოთა კავშირში ჭეშმარიტად რევოლუციური ცვლილებები ხდება. ადამიანთა შორის სუფევს ოპტიმიზმი, — თქვა მან. — შევნიშნეთ, რომ გააქტიურდა პოლიტიკური ცხოვრება ყველა დონეზე“.

გულისწყრომით დაგემს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიაზე

ჟენევა. აქ მიმდინარე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის 43-ე სესიაზე განიხილება ჩილეში, სალვადორში, გვატემალაში, პარაგვაისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებული საკითხები.

სესიაზე გამოსულმა სსრ კავშირის, ინდოეთის, ალჟირის, ბულგარეთის, ნიკარაგუასა და კუბის წარმომადგენლებმა გულისწყრომით დაგმეს ჩილეს ხუნტის მიერ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გაქელვა. ჩილელი ხალხი, აღნიშნეს ორატორებმა, ნიადაგ განიცდის ტერორსა და ძალმომრეობას, წლითიწლობით მატულობს სამხედრო დიქტატურის მსხვერპლთა რიცხვი.

ხუნტის ბოროტმოქმედების შესახებ სესიის მონაწილეებს უამბო ჩილელმა მოქალაქემ კარმენ კინტანამ. 1986 წლის ივლისში საყოველთაო საპროტესტო გაფიცვაში მონაწილეობისათვის დაპატიმრების შემდეგ იგი როდრიგო როხას დე ნეგრისთან ერთად მხეცურად აწამეს სატუსაღოს დილეგში. ჯალათებმა სასტიკად სცემეს დაპატიმრებულებს, მერე კი საჭირო ჩვენებები რომ ვერ დატეხეს მათ, ბეჭნიერი დაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. ამის შედეგად კარმენ კინტანა ხეიბარი გახდა, როდრიგო კი დაიღუპა. კარმენ კინტანამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიას მოუწოდა მკაცრად დაგმოს ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა ჩილეში და მიიღოს ეფექტიანი ზომები უკანონობის აღსაკვეთად.

ორატორებმა ყურადღება მიაპყრეს ადამიანის უფლებათა მასობრივ და უხეშ დარღვევებს სალვადორში, გვატემალასა და პარაგვაიში.

უკსოფეში

ფაქტები • მოვლენები

ბოლაპარაკმზა დამთავრდა

სსრ კავშირ-პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის დარგში

ვარშავა. ვარშავაში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მოლაპარაკება, რომლის ყურადღება ცენტრშიც იდგა სსრ კავშირისა და პოლონეთის სოფლის მეურნეობის პრობლემებზე „ომუშავე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლობის შემდგომი განვითარების, სსრ კავშირისა და პოლონეთის კვების მრეწველობის საწარმოთა პირდაპირი ურთიერთობის საკითხები.

შეხვედრის დროს ორი მოძმე ქვეყნის სპეციალისტებმა შეაჯამეს საწარმოებისა და ორგანიზაციების პირდაპირი საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური კონტაქტების შესახებ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმების შესრულების პირველი შედეგები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამჟამად ორივე ქვეყნის მეცნიერები ერთობლივად ამუშავებენ 47 სამეცნიერო თემას სოფლის მეურნეობისა და დადამუშავებელი მრეწველობის დარგებში. გაფართოვდა სპეციალისტებისა და მეცნიერი მუშაკების გაცვლა. დაიდო სამაცხე მეტი ხელშეკრულება ორი ქვეყნის საწარმოებისა და სამეცნიერო დაწესებულებების პირდაპირი თანამშრომლობის შესახებ.

მხარეები შეთანხმდნენ გაეაერთიანონ მეცადინეობა სხვადასხვა საჭიროებათა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი პერსპექტიული ჯიშების სელექციის დარგში, გაძლიერონ საუშაოთა ინტენსიურობა პირუტყვის ახალი ჯიშების გამოყვანისათვის და გააქტიურონ ერთობლივი საქმიანობა კვების მრეწველობაში თანამედროვე ტექნოლოგიების შემუშავებისათვის.

● იტალია

ანდრეოტის დაავალეს...

რომი. **საკდესის კორ. ნიკოლოზ ტეტერინი გვიყოფენებს:** იტალიის პრეზიდენტმა ფრანჩესკო კოსიგამ დღეს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენელს ჯულიო ანდრეოტის დაავალა შექმნას ქვეყნის ახალი მთავრობა. ამას წინ უძღოდა სახელმწიფოს მეთაურის კონსულტაციები რესპუბლიკის ყოფილ პრეზიდენტებთან, პოლიტიკურ ლიდერებთან და პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების დელეგაციებთან. ჯ. ანდრეოტიმ დაიტოვა საკითხის გადაწყვეტის უფლება.

ჯ. ანდრეოტის მისია იოლი როდია. მან უნდა დაძლიოს მწვავე წინააღმდეგობანი, წინა მმართველი კოალიციის ხუთ პარტიას შორის: მხოლოდ ამ გზით შეიძლება თავიდან აიცილონ პარლამენტის ვადამდელი დათხოვნა და საყოველთაო არჩევნების მოწყობა.

ახალი კაბინეტის მეთაურობის კანდიდატი გამოცდილი პოლიტიკოსია. იგი მრავალგზის ყოფილა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

როგორც მილანის „ჯორნო“ წერს, ჯ. ანდრეოტის მიზანია შეეცადოს აღადგინოს ხუთპარტიიანი მთავრობა, რომელიც ხელისუფლების სათავეში იქნება 1988 წლამდე, როცა მთავრდება ახლანდელი მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილებათა მოქმედების ვადა. ხუთპარტიიანი სამთავრობო ფორმულის აღდგენის წინააღმდეგ მტკიცედ ილაშქრებენ ოპოზიციური პარტიები, უწინარეს ყოვლისა იტალიის კომუნისტური პარტია.

ახალი საბჭოთა ინიციატივა ყურადღების ცენტრშია

ტოკიო. **„ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის თაობაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების მიღწევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ წამოყენებული წინადადების საფუძველზე შეიძლება დადგეს ნაბიჯი გახდეს განიარაღების გზაზე. საფრანგეთი არ ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის ინიციატივას“.** ეს განაცხადა ტოკიოში გამართულ პრესკონფერენციაზე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟან-ბერნარ რემონმა. საშუალო სიშორის რაკეტების გარდა, თქვა მან, „არსებობს სხვა სახეობის ბირთვული იარაღიც, შემოწმებისა და კონტროლის საკითხებიც, მაგრამ ევროკაკეტების ლიკვიდაცია სათავეს დაუდებდა ბრსებითს პროგრესს განიარაღების საქმეში“.

საბჭოთა კავშირის ახალი სამშვიდობო ინიციატივა იაპონიის ხელმძღვანელებთან ჯ. ბ. რემოის მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო. პრემიერ-მინისტრ იასუჰირო ნაკასონესთან შეხვედრის დროს საფრანგეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა აღნიშნა, რომ „საფრანგეთი, როგორც დასავლეთის ბანაკის წევრი, ეთანხმება სსრ კავშირის ბოლო წინადადებას ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების სრული ლიკვიდაციის შესახებ“.

ტუნისი. **ჩვენ მივესალმებით გამალებული შეიარაღების შეწყვეტის ხელშემწყობ ყველა ინიციატივას და ყოველ ნაბიჯს, რომელიც მიზნად ისახავს ბირთვული განადგურების საფრთხის აღმოფხვრას, ჩვენს პლანეტას რომ ემუქრება.** ამიტომ აღვიქვით დიდი კმაყოფილებით ახალი საბჭოთა წინადადებები ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის თაობაზე, განაცხადა ტუნისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟან-ბერნარ რემონმა. საშუალო სიშორის რაკეტების გარდა, თქვა მან, „არსებობს სხვა სახეობის ბირთვული იარაღიც, შემოწმებისა და კონტროლის საკითხებიც, მაგრამ ევროკაკეტების ლიკვიდაცია სათავეს დაუდებდა ბრსებითს პროგრესს განიარაღების საქმეში“.

ბონი. **გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია მიესალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ამახწინანდელ წინადადებას ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ.** ეს განაცხადა პროგრეს პრესე-აგენტურის საააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა პრესის საკითხებში ვიუნტერ ფერჰოიგენმა. სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც უდიდეს ოპოზიციურ პარტიას წარმოადგენს, აღნიშნა მან, ეცდება იმის მიღწევას, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ მთელი თავისი გავლენა გამოიყენოს ამ პრობლემის დადებითი გადაწყვეტისა და შესაბამისი შეთანხმების დადების მიზნით.

ლონდონი. **„ისტორიული მნიშვნელობის ინიციატივა“ უწოდა სსრ კავშირის წინადადებას ევროპაში საშუალო სიშორის ყველა საბჭოთა და ამერიკული რაკეტის ლიკვიდაციის შესახებ** დიდი ბრიტანეთის ყველაზე მასობრივი ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციის—ბირთვული განიარაღების მომხრეთა მოძრაობის თავმჯდომარის მოადგილემ ბრიუს კენტმა. ეს წინადადება იმით არის უნიკალური, წერს ბ. კენტი გაზეთ „გარდიანში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომ იგი მიმართულია პლანეტის ყველა ადამიანისადმი და ასახავს კაცობრიობის წინაშე მდგომ ყველაზე გადაუდებელ ამოცანას — ჩვენი პლანეტის განთავისუფლებას ბირთვული არსენალისაგან. დასავლეთმა უნდა გაიგოს, აღნიშნავს ბ. კენტი, რომ სსრ კავშირთან ძალის პოზიციიდან მოლაპარაკების წარმოებას ყოველგვარი ცდა საშიში თამაშია.

● ევროპის დემოკრატიული რესპუბლიკა

ერთიანი შერიგების პროცესი

ძაბული. **საკდესის კორ. ოლეგ კუზმინი გვიყოფენებს:** ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის საბჭოების საქმიანობა განიხილეს ქვეყნის ამ უდიდესი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს სხდომაზე, რომელიც ორშაბათს გაიმართა ქაბულში. სხდომაში მონაწილეობდა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნაჯიბი, რომელმაც საერთოდ მაღალი შეფასება მისცა ეროვნული ფრონტის მუშაობას ეროვნული შერიგების ეროვნული ფარგლებში. ამასთან, აღნიშნა მან, საქმიანობის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი რეზერვები აქვთ ფრონტის ადგილობრივ საბჭოებს, რომლებსაც აკისრიათ ძირითადი სიძნელე შერიგების კურსის განხორციელების საქმეში.

განვლილი დღის ცნობები მოწმობს ავღანეთის ხელმძღვანელობის პოლიტიკის წარმატებებს. მაგალითად, ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ტორკჰამის სასაზღვრო პუნქტის გავლით გადავიდა კიდევ ყოფილ ლტოლვილთა 47 ოჯახი, სულ ორასამდე კაცი. ადგილობრივმა ხელისუფლებამ საამბოლოში დაბრუნებულ თანამემამულეებს მისცეს სურსათი, ტრანსპორტი მშობლიურ ადგილებში მისასვლელად. ფარიაბის პროვინციიდან ატყობინებენ, რომ შერიგების კომისიასთან მოლაპარაკების შემდეგ სახალხო ხელისუფლების მხარეზე გადავიდა ორი შეიარაღებული ჯგუფი მუჰამედ რაფიკისა და ჯალალუდინის მეთაურობით. უარი თქვეს რა უაზრო ძმათამკვლელობის გაგრძელებაზე, მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა თითქმის 150 კაცი. სულ ამ პროვინციაში შერიგების კურსის გამოცხადების შემდეგ დაბრუნდა 2600-ზე მეტი ყოფილი ემიგრანტი, ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა შეწყვიტა შეიარაღებული ჯგუფების 1600-ზე მეტმა წევრმა, საპარობლეებიდან განთავისუფლებულია 66 პატიმარი. მარტო ბოლო რამდენიმე დღეში ფარიაბში დაბრუნდა 74 ოჯახი.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქენი განაგრძობენ სახსრების გადარიცხვას დაბრუნებულ თანამემამულეთა დახმარების ფონდში. კერძოდ, ორშაბათს ბანკის 50000 ანგარიშზე მილიონზე მეტი ავღანი გადარიცხეს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარი პოლიტიკური სამმართველოსა და გენერალური შტაბის თანამშრომლებმა. ასობით ქაბულელმა მიიღო მონაწილეობა ყოფილ ლტოლვილებისადმი უანგარო დახმარების ცენტრის გახსნის საზეიმო ცერემონიაში.

ფოტოინფორმაცია

მშვიდობის გზა



დემოკრატიულ ავღანეთში საერთო-ეროვნული შერიგების ყოველ დღეს ამ პროცესის გაღრმავების შესახებ ახალი ცნობები მოაქვს. მშვიდობიან ცხოვრებას იწყებს სულ ამ ცოტა ხნის წინათ შეიარაღებულ მთავრობისაწინააღმდეგო ჯგუფებში შემავალი ათასობით ავღანელი. სამშობლოში დაბრუნდა ათასობით ოჯახი, მტრის პროპაგანდით მოტყუებულმა დუშმანებთან ომის დროს რომ მიატოვა ავღანეთი.

სურათზე: მთავრობის ეროვნული შერიგების პოლიტიკას მხარს უჭერს კუდუსის სახელმწიფო სარძეო ფერმის უხუცესი მუშაკი.

ლ. კოლტერინის ფოტო. (საკდესის ფოტოქრონიკა).

„ვაჭრობა, მომსახურება, პროგლემები“

რაოდენობა კი არა, მთავარი ხარისხია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმმა, რომელიც სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით მიმდინარეობდა, უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეული ამოცანების წინაშე დაგვაყენა. ბუნებრივია, მან ჩვენც, სამეურნეო დარგის მუშაკებიც ერმად დაგვაფიქრა. პლენუმის მიერ წამოჭრილ პრობლემათა ფართო წრეში ამჯერად მინდა ზოგიერთ ეკონომიკურ საკითხს შევეხო, კერძოდ, წარმოებისა და ვაჭრობის ურთიერთობას.

გუნახდილად რომ ვილაპარაკოთ, ზოგჯერ ამ მხრივ კურიოზული ვითარება იქმნება. მაგალითად ზშრად მოწნავე ფაბრიკისა და ქარხნის ნაწარმი, რომლისთვისაც იგი გარდამავალ დროშას იღებს ხოლმე, დიდი ხნის მანძილზე სწყობებში და მაღაზიების დახლებზე აწყვია და არავინ ყიდულობს.

ვგონი ასეთი სიტუაცია ჩვენთვის უცნობია? როცა მეათე და მეთერთმეტე ხუთწლედებში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს აქებდნენ, მისი სისტემის საწარმოთა პროდუქცია ძალზე სწრაფი ტემპით იზრდებოდა, ცდილობდნენ მხოლოდ პროდუქციის რაოდენობის გადიდებას, ხარისხისათვის კი ნაკლებად ზრუნავდნენ. სამინისტროს მაშინდელ ხელმძღვანელობას დარგის პერსპექტივაზე, მის ტექნიკურ განახლებაზე, ასორტიმენტის შეცვლაზე, ვაჭრობის მოთხოვნაზე უფრო მეტად რომ ეზრუნა, ახლა ასეთ საკალლო დღეში არ ჩავარდებოდნენ, ასე არ გაუჭირდებოდათ არც დარგს და არც ვაჭრობას.

მისასალმებელია, რომ დღეს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი აღმავლობის გზაზე დგას, მაგრამ მას ხომ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთო, წინა წლებში გამოშვებული უამრავი ქსოვილი საწყობში დევს უძრავად და ზველას ითხოვს, ეს საქონელი კი იმ წლებში იქმნებოდა, როცა ამ კომბინატს საერთო პროდუქციის გამოშვების ძალზე სწრაფ ტემპს უგეგმავდნენ. კავშირში სხვებთან ერთად ამ საწარმოს ავ-კარგი 1984-85 წლებში საკავშირო ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის მინისტრთა სამეჯოსადმი დაწერილ მოხსენებითს ბარათშიც აღნიშნა, მაგრამ ყველაფერი უცვლელი რჩებოდა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მაუდ-კამვოლის კომბინატი, რომელიც პროდუქციის საერთო მოცულობის გადიდების მარწუხებში იყო მოქცეული, ერთეული არ არის. ფაქტია, რომ ამ მდგომარეობაში მრავალი სხვა საწარმოც იყო და ჯერჯერობითაც რჩება. რა თქმა უნდა ეს ეხება ძირითადად რეგიონალურ მსუბუქ, ასევე ადგილობრივი მრეწველობის და მთელი რიგი სხვა უწყებების საწარმოებს, რომლებიც ფართო მოხმარების საქონელს უშვებენ.

ცოდვა გამხელილი სჯობს, და არც ვაჭრობა იდგა თავის სიმაღლეზე. საკუთარი გამოცდილებით ვიცით, რომ „ვაჭრობის გავლენა მრეწველობაზე“ მხოლოდ ქაღალდზე კარგად დაწერილი ინსტრუქციის დონეზე რჩებოდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 1985-86 წლებში ვაჭრობისათვის საქონლის დაძლება შედარებით შესუსტდა, მაგრამ საბოლოოდ არ აღმოფხვრილა. ცხადია, ამ სიტუაციაში ბრალი ვაჭრობასაც მიუძღვის, ვინაიდან ვერ უზრუნველვყოფთ ისეთი ელემენტარული სიტუაციის შექმნას, როცა ყველგან და ყოველთვის საბითუმო და საცალო ქსელში გვქონდეს სავაჭრებელო ასორტიმენტით გათვალისწინებული, ქვეყანაში საკმაო ოდენობით არსებული საქონელი. სამწუხაროდ, ზოგჯერ თუთრეულიც, რომელიც ახლა ქვეყანაში დიდი ოდენობით გამოდის, 3-4 წლის წინათ დეფიციტი იყო. მის შეკერვაზე გადავიდა რთული პროფილის საწარმოებიც კი (ფაბრიკა „გელათი“), რამაც სამაგიეროდ მამაკაცის პერანგების დეფიციტი გამოიწვია. ამჟამად დიდი ოდენობით ზენორმატიული გვაქვს ალეტატური ქსოვილი და მისი მზა ნაწარმი, ამ დროს კი არ გვყოფნის ქალისა და მამაკაცის შალის პალტოები, მამაკაცის შარვლები, პერანგები, ფეხსაცმელი და მთელი რიგი სხვა საქონელი.

მარტო რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ 1986 წლის მანძილზე არ მოგვაწოდა 8,4 მილიონი მანეთის საქონელი, ხოლო გამოყოფილ ფონდსა და ათვისებას შორის სხვაობამ 24,5 მილიონ მანეთს მიაღწია, ყოველივე ეს ხდება იმიტომ, რომ წლის განმავლობაში მრეწველობამ ვერ შეძლო ვაჭრობისათვის საჭირო საქონლის გამოშვება.

სამწუხაროდ, ჩვენ საქონელს ვეძახით ყველაფერს, რაც ფაბრიკის ჭიშკრიდან გამოდის. კ. მარქსი კი თავის კაპიტალში აღნიშნავს: „კაბა მაშინ გახდება საქონელი, როცა მას ქალი იყიდის და ჩაიცვამსო“. ჩვენ კი ასეთი ჩაუცმელი კაბები, როგორც მრეწველობის, ასევე ვაჭრობის საწყობებში და დახლებზე მილიონობით გვიწყვია, რომელიც ქვეყნის სიმდიდრეს ვერაფერს მატებს.

დღემდე ვერავის გაუცია ობიექტური პასუხი იმაზე, თუ რატომ ვუშვებთ ისეთ პროდ

პაატა ბურჭულაძის სახელობის

სხვადასხვა პროფესიის ადამიანები ერთი სულისკვეთებით გააერთიანა ვენის პაატა ბურჭულაძის სახელობის კლუბმა. კლუბის შექმნის საბაბი გახდა ვენის ოპერის სცენაზე ოპერა „ლუიზა მილერში“ გრაფ ფონ ვალტერის პარტიაში ქართველ მომღერალთან ვენელი მსმენელების შეხვედრა. პაატას წარმატება იმდენად ბრწყინვალე იყო, რომ ავსტრიელმა მელომანებმა გადაწყვიტეს კავშირი არ გიეწყვიტათ ამ მომღერალთან, რომელმაც დიდ ხელოვნებასთან ურთიერთობის დაუვიწყარი სიხარული მიანიჭეთ. როგორც ავსტრიის პრესა იუწყებოდა, ოპერა „ლუიზა მილერის“ დადგმა მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. გაზეთი „ვინერ ციტუნგი“ კი პაატა ბურჭულაძის შესახებ წერდა, რომ „აქ დიდიხანია არ მოუსმენიათ ამგვარი ყღერადობის ხმა. შთაბეჭდილებას ახდენს ხმის ყველა კომპონენტისა და საშემსრულებლო ოსტატობის ბუნებრივი შეხამება...“

„ლუიზა მილერში“ პაატას პარტნიორი იყო თანამედროვეობის გამოჩენილი მომღერალი ლუჩანო პავაროტი, რომლის სახელსაც ატარებს ფილადელფიის ახალგაზრდა შემსრულებელთა კონკურსი. ერთი წლის წინათ პაატა დაუსწრებლად გახდა ამ ავტორიტეტიანი შემოქმედებითი შეჯიბრების პირველი პრემიის ლაურეატი.

პაატა ბურჭულაძის სახელობის კლუბის წევრებმა გამოუშვეს პაატარა წიგნი თავიანთი კერპის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ისინი ყურადღებით ადევნებენ თვალს მომღერლის შემოქმედებას, ესწრებიან პრემიერებს მისი - მონაწილეობით მსოფლიოს სხვადასხვა სცენაზე, ისმენენ ვიდეოჩანაწერებს, გრამფირფიტებს.

პაატა ბურჭულაძის სახელობის კლუბის შექმნა ქართველი ვოკალისტის კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარებაა, რომელიც საეკალისტთა ერთსულოვანი შეფასებით „მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ბანად“ ითვლება. ახლახან იგი გახდა გამოჩენილი ბერძენი მომღერლის მარია კალასის სახელობის პრემიის პირველი লაურეატი.

5 მარტს პაატა ბურჭულაძის ნიშის მრავალმა თაყვანისმცემელმა იგი იხილა ვერდის ოპერაში „დონ კარლოსი“, რომელიც თბილისის საოპერო სცენაზე იდგმება. ახალი ნამუშევრის პირველ მაყურებელთა შორის იყო ვენის კლუბის ოცდაათი წევრი, რომლებიც წინა დღით თბილისში ჩამოვიდნენ.

პრემიერის შემდეგ პაატა ბურჭულაძე გამართავს სოლო კონცერტს მოსკოვში. 21 მარტს იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება. ფილადელფიის ოპერის თეატრში მომღერალი შეასრულებს მთავარ პარტიას მუსორგსკის „ბორის გოდუნოვში“. შემდეგ საგასტროლო მარშრუტები გაგრძელდება ავსტრიასა და ინგლისში. (საქინფორმი).

ამღერდნენ ხსოვნის „ყაყაჩოები“...

დაუვიწყარი იქნება ის საღამო იმათთვის, ვინც საქართველოს სსრ ვაჟრობის მუშაკთა კულტურის სახლში გამართულ კონცერტ-გახსენებას დაესწრო. იმ დღეს მუსიკის მოყვარულთა ერთი ნაწილი კვლავ ეზიარა ქართული ესტრადის გამოჩენილი მოღვაწეების ვალერიან ძაგნიძისა და შალვა ჩხიკვაძის შემოქმედებას, ზეოლთაც წარუშლელი კვალი დატოვეს ეროვნულ-საესტრადო ხელოვნებაში.

ეს შესანიშნავი დუეტი მაშინ გაიცნო ჩვენმა მუსიკის მოყვარულმა საზოგადოებამ, როცა ქართული ესტრადა ის-ის იყო, პირველ ნაბიჯებს დგამდა. და განა მარტო გაიცნო, გულთთაც შეიყვარა მათი ხელოვნება და ჩვენში ამ დარგის პიონერებადაც კი შერაცხა ისინი. ამას თავისი რეალური საფუძველიც ჰქონდა — ქართულ ესტრადაზე სწორედ მათ დაამკვიდრეს გიტარა, თავისებური ელფერითაც გაამდიდრეს ქართული პოლიფონიური სიმღერის ტრადიციები. მთელი საქართველო ღიღინებდა და ღიღინებს მათს გულშიჩამწვდომ, უაღრესად ეროვნულ და მელოდიურ სიმღერებს. უფრო მეტიც — არაერთი თაობა აღიზარდა მათი საშემსრულებლო ხელოვნების ტრადიციებზე.

ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც მოუსმენია ესა თუ ის სიმღერა ამ დუეტის შესრულებით, ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად დიდი სითბო და გულწრფელობაც უგრძვნია. და ისე გაუთავისებია, თითქოს უშუალოდ მისი გულიდან ამოღვრილიყოს ეს ხალისიანი თუ კაეშნიანი მელოდიები. „ყაყაჩო“, „ჩემო ჩიტუნია“, „მტრედი“, „მიყვარხარ“ და სხვა სიმღერები სპეციალურად ამ დუეტისათვის შეიქმნა და მათივე შესრულებით აღღერდა პირველად ქართულ ესტრადაზე.

და ეს სიმღერები კიდევ ერთხელ ააჟღერეს საესტრადო კოლექტივებმა თუ ცალკეულმა შემსრულებლებმა. გარდა ამისა დამსწრეთ ნახეს ფრაგმენტები ფილმებიდან, რომლებმაც შემოგვინახეს ვ. ძაგნიძისა და შ. ჩხიკვაძის ცოცხალი სახეები.

საღამოზე, რომლისთვისაც თავისუფლად შეგვეძლო გვეწოდებინა რეტროკონცერტი, ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც წლების წინათ: სცენა, ხალხმრავალი დარბაზი, ორმოცდაათთანი წლების აფიშები, სიმღერები და მათი წყვილი გიტარაც... მაგრამ არ იყვნენ ისინი, ვის ხსოვნისაც ამღერი თაყვანისმცემლის ქუშმრიტად გულიანი ღიმილი და სითბო აცისკროვნებდა.

მ. მიქელაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეურნალისტიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

გზა გადაკეთებოთ უშრომელ შემოსავალს

მახეში გაებნენ

სამხრეთ, ოსეთის მართლწესრიგის დამცველებმა გააქტიურეს სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლა. შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველოს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსმა თ. გასიევმა დაასახელა რამდენიმე ფაქტი.

ცხინვალში კომკავშირის ქუჩის № 21 სახლში მცხოვრებმა რიტა კრიხელმა სპეკულაცია ხელობად გაიხადა. ყიდულობდა, შემდეგ კი მამასისხლად ყიდდა სამრეწველო საქონელს — კაბას, ფეხსაცმელს, პალტოს... სამრეწველო საქონლის სპეკულაცია ფულის ოილი შოვნის წყაროდ გიხადეს აგრეთვე ვაგზლის ქუჩაზე მცხოვრებმა ვერა გაბარიეგამ და ზოია ვალიევამ, ზნაურის რაიონის სოფელ ოქონაში მცხოვრებმა ეთერ ჩუბინიძემ, ზნაურელმა ვერა ცისკრაძემ...

თბილისის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების მძღოლი ოთარ ხმიადაშვილი ზედმეტ ფასად ყიდდა ცემენტს. იგი მაშინ დააკავეს, როცა 6 ტონა ცემენტი ზედმეტ ფასად გაყიდა. ცემენტის სპეკულაციას ეწეოდა ზნაურის რაიონის სოფელ წორბისის მკვიდრი ვასილ ცხოვრებოვიც.

ამ ბოლო ხანს გახშირდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სპეკულაციაც. ცხინვალის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა ამხილეს ქემერტელი ნოშრევან და მიხეილ ღეკენაშვილები, ოსეთ გაბარაშვილი, რომლებმაც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გიტანეს [illegible] მსგავსი მოქმედებისათვის დაპატიმრეს ვეს ქსუსილელი [illegible], ოთარ ჯავახიშვილი, ქრისტეფორე რაზმაძე; ხეითელი აკაკი გოჩაშვილი, აკაკი ზუბაშვილი, გიორგი ძიკელიძე და სხვები.

ჯავის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებმა დაკავეს ორჯონიკიძელი ნაზლი კოჩერგანი, რომელიც მოლახის გამყიდველად მუშაობდა. მან მანეთად და 80 კაპიკად იყიდა 3750 კილოგრამი ეკი და მთელი ეს ყველი 3 მანეთად მიჰყიდა ჯავის საბჭოთა მეურნეობას. მარტო ამ ოპერაციით მან 4250 მანეთი მოგება ჩაიჯიბა.

ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციაში საზოგადოებრიობის თვალწინ მიმდინარეობს სპეკულაცია. ასეთებს შორის თ. გასიევმა დაასახელა ცხინვალის სამკერვალო და ტრიკოტაჟის ფაბრიკები, სამკერნალო დაწესებულებები, განსაკუთრებით საოლქო საავადმყოფო. მათმა ხელმძღვანელებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა კი არც ერთხელ არ აცნობეს შინაგან საქმეთა ორგანოებს ეს ამბავი, უპასუხოდ რჩება წარდგინებანი, რომლებიც ორგანიზაციებს ეგზავნებათ. იმასთან დაკავშირებით, რომ სპეკულაციასა და სხვა დანაშაულში გამოავლინონ თავიანთი მუშაკები, დროულად მიიღონ ზომები მათი აღკვეთისათვის. შემრიგებლური მდგომარეობა ხელს უწყობს ყოველი ანტისაზოგადოებრივი საქციელის განვითარებას.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲧᲐᲒᲐᲕᲘ

„სპარტაკი“-„დინამო“—3:1

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის I ტურის შეხვედრების წინ ცნობილი გახდა, რომ კიევის „დინამო“ სტამბოლიდან ავდრის გამო გვიან გამოემგზავრა და ამიტომ ლანჩხუთის „გურიასთან“ მატჩი ვერ გამართა. ვინაიდან კიეველები კვლავ სტამბოლს უნდა ეწვიონ და იქ 14 მარტს თურქეთის „ბეშიქთაშთან“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩს გამართავენ, 13 მარტს ვერც თბილისის „დინამოსთან“ ითამაშებენ. ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ლანჩხუთის „გურიასთან“ და თბილისის „დინამოსთან“ კიევის „დინამოს“ გამოტოვებული მატჩები მოეწყობა მოგვიანებით.

ახლა კი ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ წარმართა თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ გუშინდელი პირველი კალენდარული შეხვედრა.

მას, ისევე როგორც ყოველი სეზონის საწყის ეტაპზე, წინ უძღოდა საზეიმო რიტუალი. ამჯერად ყველაზე სასიამოვნო გამონაკლისი ის იყო, რომ დიდხანს მივიწყებული ტრადიცია აღსდგა: თანაკლუბელებმა და ქომაგებმა საზეიმო გაცილება მოუწყეს საბელმოხვეულ ფეხბურთელს ვლადიმერ გუცაევს. რაც შეეხება განვლილ მატჩს, მან ბევრი უსიამო წუთი განგვაცდევინა. მასპინძლებმა გაცილებით მეტი შეცდომა დაუშვეს თამაშისას და მათ ეს სამ გოლად დაუჯდათ: მე-17, 50-ე და 63-ე წუთებზე თბილისელთა კარში ბურთები გაიტანეს ჩერენკოვმა, პასულკომ და კვლავ ჩერენკოვმა. მატჩის მიწურულს (79-ე წუთზე) შენგელიამ თავური დარტყმით ერთი ბურთი გაქვითა. 3:1 — გაიმარჯვა „სპარტაკმა“.

დინამოელთა შემადგენლობა ასეთი იყო: გაბელია, ეტეშვილი, ჩივაძე, ქედია, ცაავა, კაკალაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, კორდალიძე (შენგელია), ჩელებაძე (მიქაშავიძე), რეგაშვილი.

პირველი ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „დნეპრი“-„ყაირათი“ — 0:0, „შახტიორი“-„ზენიტი“ — 1:1, „არარატი“-„მეტალისტი“ — 1:0.

ჯ. ენუქიძე.

საქართველოს პირველობაზე

საქართველოს ქალთა საჭადრაკო პირველობის ზეოთხე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — დები მელაშვილები. 32-ე სვლაზე პარტია ყაიმით დამთავრდა. მეტად საინტერესო პოზიცია შეიქმნა 13 წლის ნიკოლაძისა და გოგონათა შორის ვიცე-ჩემპიონის კახიანის პარტიაში. თეთრების სამი მსუბუქი ფიგურა კახიანის ლაზიერზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა და, ნიკოლაძემ გაიმარჯვა. სადუნიშვილმა მოუგო თანდაშვილს, ხუგაშვილმა — გაგნიაშვილს. ალიხანაშვილი და ხუციშვილი ყაიმზე შეთანხმდნენ. სამი პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

4 ტურის შემდეგ 3,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს ოსტატი ნინო მელაშვილი. ოსტატ ქეთევან მელაშვილს სამი შეხვედრიდან — 2,5 ქულა, ოსტატ ეკატერინა ქასოშვილს 2 ქულა, 1 მოსაგებ პოზიციაში გადადებული და ერთიც გამოტოვებული პარტია აქვს, საერთაშორისო ოსტატ თამარ ხუგაშვილს — 2 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

სატურნირო ორბიტა

კალათბურთი. გაიმართა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის კიდევ ერთი კალენდარული მატჩი. ცსკა დონეცკში შეხვდა ადგილობრივ „შახტიორს“ და დამარცხდა ანგარიშით 84:94. დღეისათვის ფინალურ ექვსეულში გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ცსკა — 28 მოგება, კაუნასის „ჟალგირისი“ — 23, თბილისის „დინამო“ და ლენინგრადის „სპარტაკი“ — 20-20, დონეცკის „შახტიორი“ — 18, ვეფი — 13. ამ ეტაპზე კიდევ 7 მატჩი გაიმართება. გთავაზობთ მომავალ შეხვედრათა განრიგს: **12 მარტი.** ცსკა — რიგის ვეფი; **18 მარტი.** ცსკა — ლენინგრადის „სპარტაკი“, **15 მარტი.** თბილისის „დინამო“ — კაუნასის „ჟალგირისი“, რიგის ვეფი — დონეცკის „შახტიორი“; **17 მარტი.** ლენინგრადის „სპარტაკი“ — დონეცკის „შახტიორი“; **18 მარტი.** ლენინგრადის „სპარტაკი“ — თბილისის „დინამო“, კაუნასის „ჟალგირისი“ — რიგის ვეფი.

თბილისში დამთავრდა გაზეთ „ლელოს“ პრიზის საკავშირო გათამაშება. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ყაზახეთისა და თბილისს „დინამო-1“-ის ჭაბუკი კალათბურთელები. მასპინძლებმა ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 99:76 და „ლელოს“ პრიზს დაეუფლნენ.

სპორტული ტანვარჯიში. ქალაქ ფერფაქსში (ვაშინგტონის შტატი) „აშშ-ს თასის“ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე უძლიერესის წოდება მოიპოვა სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა სსრ კავშირის მეორე გუნდი ანგარიშით 2:1. მესამე ადგილზე გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელები.

ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲡᲯᲔᲕᲜᲔᲑᲔᲚᲘ

აფხაზეთის ზღვისპირეთის სახელგანთქმული კურორტი გაგრა სოჭიდან მდინარე ბზიფამდე 53 კილომეტრიან გიწრო ზოლად არის გადაჭიმული. აქ სუბტროპიკების მწვანე სამოსელში ჩაფლული მისი თანამგზავრ-მარგალიტები—ბიჭვინთა, ლესელიძე, განთიადი, ცოგწყარო ელვარებენ. შავი ზღვის ამ ლაჟვარდოვანი ნაპირის ჩინებული პლაჟები, აქაური ჰაერი, როგორც იტყვიან „ხანდაზმულობის ელექსირია“.

სწორედ აღნიშნული ფაქტორები იზიდავს ამ უნიკალურ კურორტზე მოაგარაკეს. საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ ზაფხულის ცხარე დღეებში უსაზღვროდ 250-300 ათასზე მეტი სტუმარი ჩამოდის. უსაგზაროდ ჩამოსულთა უმრავლესობა ადრე მოკლებული იყო არა მარტო სრულყოფილ საკურორტო სერვისს, არამედ ნორმალურ საძინებელ ბინებსაც.

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს გვინდა შევახსენოთ, რომ ამ ორიოდე წლის წინათ ქალაქის კომუნისტების ინიციატივით ჩაისახა, მოქმედებს და თავის სოციალურ-ეკონომიკურ პოზიციებს განმტკიცებს გაგრის ახალი ექსპერიმენტი. — საკურორტო მომსახურების ტერიტორიული დარგთაშორისი გაერთიანება „დასვენება“.

— საკურორტო მომსახურების ამ ახალი ფორმის დანერგვის საჭიროება პრაქტიკით დადასტურდა, — გვითხრა საქართველოს კომპარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვალერი ფილიამ, — მიუხედავად თავისი საქმიანობის შედარებით მოკლე ვადისა, გაერთიანებამ გარკვეული აღიარება და ავტორიტეტი დაიმსახურა. საკმარისია ითქვას, რომ მისი შექმნიდან გასულ ორ საკურორტო სეზონში მომსახურება გაეწია 400 ათასზე მეტ კაცს დამსვენებელთა ამ რიცხვიდან, რომლებსაც ადრე არაორგანიზებული, უსაგზაროდ ეწოდებოდა. ეს კი როდენობრივად საგრძნობლად აღემატება დამსვენებელთა რიცხვს, რომლებმაც თავიანთი შვებულების დღეები აღნიშნულ პერიოდში გაატარეს ქალაქის სანატორიუმებსა და ჯანმრთელობის სხვა კერებში. ამრიგად, დღეისათვის დამატებითი დანახარჯების გაუწევლად კურორტზე გაორკეცდა ორგანიზებული წესით მიღებულ დამსვენებელთა რაოდენობა. ამასთან ერთად ფირმა „დასვენების“ მომსახურების მოცულობა და სახეობანი საგრძნობლად დაუახლოვდა იმ დონეს, რომელსაც სტუმრებს პანსიონატები და დასასვენებელი სახლები უწევენ.

დამსვენებელთა მომსახურების ახალი ექსპერიმენტის უაღრესად აქტიურ მნიშვნელობას ისიც ადასტურებს, რომ ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სპეციალურად მოისმინა პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტისა და გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ანგარიში მშრომელთა კომპლექსური მომსახურების ეკონომიკური ექსპერიმენტის მიმდინარეობის შესახებ და სათანადო ღონისძიებები დასახა.

დღეისათვის ფირმა „დასვენება“ სტუმრებს სთავაზობს 15-ნაირ მომსახურებას, მათ შორის ჩამოსულთა უმრავლესობას ეწევა მომსახურება ისეთ უმთავრეს სახეობებში, როგორიცაა კერძო სექტორის სახლებში დაბინავება, საზოგადოებრივი კვებისა და სამკურნალო დაწესებულებებით ურიგოდ სარგებლობა, საგზაგრო ბილეთებით წინასწარ უზრუნველყოფა, გეგმიანი ექსკურსიებისა და სხვა კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზაცია, საინფორმაციო ცნობების მიწოდება...

არსებობის ამ მოკლე ხანში გარკვეული დადებითი შედეგები მოიპოვა ფირმა „დასვენებამ“, რომელმაც ყოველგვარი დოტაციის მიღებელად საგრძნობ ეკონომიკურ წარმატებას მიაღწია. ორ წელიწადში დამსვენებლებისთვის გაწეული მომსახურების საზღაურად მიღებულმა შემოსავალმა 2.833 ათასი მანეთი შეადგინა, მოგება კი 783 ათას მანეთს აღემატება. ამ ხნის განმავლობაში კეთილმოწყობისა და უსაგზაროდ ჩამოსულ დამსვენებელთა სერვისის გაუმჯობესებისთვის გაგრის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს, სადაო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა მიიღეს 975 ათასი მანეთი.

დადებითი შედეგები, გადაუდებელი ამოცანები

გაგრის ექსპერიმენტი: დღეს და ხვალ

ამასთან ერთად გაერთიანების ფუნქციონირება დიდ დახმარებას უწევს ქალაქის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და ადმინისტრაციულ ორგანოებს არაშრომითი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოსახლეობის მიერ საკუთარი ბინების გაქირავებისაგან მიღებული შემოსავლის რეალური თანხის გამოვლენაში. ამის შედეგადაც უკანასკნელ ორ წელიწადში ბინების გაქირავების სამემოსავლო გადასახადიდან ადგილობრივ ბიუჯეტში მიღებული თანხა 30 პროცენტით გაიზარდა.

შემოსული სახსრები გამოყენებულია ქალაქის კეთილმოწყობისათვის, ეაპრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დამატებითი ობიექტების მშენებლობისათვის, ასევე ფირმის საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის. აშენდა დამსვენებელთა მისაღები 5 ახალი პუნქტი, დამსვენებელთა მომსახურების ბიურო დაბა ბიჭვინთაში, კეთილმოწყო ქალაქის ორი პლაჟი სპორტული და სანალაო ინვენტარის გასაქირავებელი პუნქტებით. მალე აშენდება 30 ასეთი პუნქტი.

მაგრამ ფირმა „დასვენების“ მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯებით, მიღწეული შედეგებით დაკმაყოფილება შეცდომა იქნებოდა. ფირმის შემდგომი განვითარება მხოლოდ იმ რეზერვებით, რომელთა გამოხსნა შეიძლება ამ ახალ კოლექტივში ან ქალაქში, ნელი ტემპით წავა. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ექსპერიმენტის საბოლოო მიზანი, რომელიც კურორტის კომფორტული მომსახურების მთლიან სამეურნეო ანგარიშზე გადასვლით გამოიხატება, საჭირო იქნება ფირმის მუშაობის შედეგად მიღებულმა შემოსავლმა წელიწადში სამ-ოთხ ვილიონ მანეთს მიაღწიოს. ეს კი რეალურად მიმდინარე ხუთწლედში უნდა განხორციელდეს. მაგრამ ამისათვის საკურორტო მომსახურების ახალი სისტემა საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ სათანადო სამინისტროებსა და უწყებებისაგან ჯეროვან პრაქტიკულ დახმარებას მოელის.

ჯერჯერობით კი გაერთიანების წინაშე ბევრი გადაუჭრელი პრობლემა და სიძნელეა. აი, ისინიც:

— გაგრის საკურორტო მომსახურების ტერიტორიული დარგთაშორისი გაერთიანება „დასვენების“ გეგმის შესრულებაში, — გვითხრა მისმა გენერალურმა დირექტორმა ს. ჩეკი-იფამ, — მეტად უარყოფითად მოქმედებს საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური და აფხაზეთის საოლქო საბჭოების გაგრისა და ბიჭვინთის ბიუროების მიერ იჯარით შექმნილი დასასვენებელი ბაზების ფუნქციონირება. საქმე ის არის, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში აღნიშნული ორგანიზაციები მისდევენ მათთვის არადამახასიათებელ საქმიანობას, ასრულებენ მშრომელთა 20-დღიანი დასვენების ორგანიზატორის ფუნქციას. მათი წარმომადგენლები ჩადიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, წარმოება-დაწესებულებებთან აფორმებენ საიჯარო ხელშეკრულებებს და ასაღებენ გრძელვადიან საგზურებს. ამ გზით ჩამოსულ ტურისტებს ადგილზე ათავსებენ კერძო პირთა კუთვნილ სახლებსა და კომუნალურ ბინებში.

გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1985 წელს წერილობითი თხოვნით მიმართა ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს და აფხაზეთის საბჭოებს შეეწყვეტათ ტურისტებისთვის ხუთდღიანი ვადის ზევით საგზურების რეალიზაცია. გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ითვალისწინებდა, რომ მოსახლეობისაგან იჯარით აღებული ბინების პირობები ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს ჩამოსულ დამსვენებელთა მოთხოვნებს, თან საზოგადოებრივი კვების სისტემაში არ ჰყოფნით დასაჯდომი ადგილები. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საქმეს საშველი მაინც არ დაადგა. მოგზაურობისა და ექსკურსიების გაგრისა და ბიჭვინთის ბიუროებმა ყურად არ იღეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს მოთხოვნა და კვლავ გაასაღეს გრძელვადიანი დასასვენებელი საგზურები. ასეთი საგზურები 1985 წელს რეალიზებული იყო 75 ათას, ხოლო 1986 წელს — 80 ათასზე მეტ ტურისტზე. ამ გარემოებამ გამოიწვია საზოგადოებრივი კვების საწარმოთა დაუშვებელი გადატვირთვა და გაუარესება საცხოვრებელ ბინებში დამსვენებელთა განაგების პირობები. სათანადო ფონდების უქონლობის გამო სეროზული მეფერხებები წარმოიშვა სურსათ-სანოვაგით დამსვენებელთა მომარაგებაში. საზოგადოებრივი კვების ობიექტებში დასაჯდომი ადგილები დაკავებული ჰქონდათ აღნიშნული საგზურებით ჩამოსულ ტურისტებს, ხოლო ფირმა „დასვენების“ ბაზით უსაგზაროდ ჩამოსულები იძულებული იყვნენ სასადილოებში 2-3 საათი რიგში მდგარიყვნენ. ეს გარემოება მათ სამართლიან საყვედურსა და საჩივრებს იწვევდა.

ამასთან ერთად მოგზაურობისა და ექსკურსიების აღნიშნული ბიუროები უარს აცხადებენ ფირმა „დასვენების“ გადაუხადონ მათთვის გაწეული მომსახურების კუთვნილი თანხა. მაგალითად, 1985 წელს არ გადაუხადეს 559 ათასი მანეთი, ხოლო 1986 წელს — 760 ათასი მანეთი. ამ თანხას შესაბამისად კარგავს საქალაქო ბიუჯეტიც. ასეთი მდგომარეობა უხარყოფითად მოქმედებს გაერთიანების საქმიანობაზე და ხელს უშლის ექსპერიმენტს. დასკვნა ერთია: მომწიფდა იმის პირობები, რომ დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას არსებული პარალელიზმი დამსვენებელთა მომსახურებაში.

გაუმჯობესებას მოითხოვს გაერთიანება „დასვენების“ სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლების დაგეგმვაც. ამჟამად მას ზემოდან უგეგმავენ „საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობას“, მაგრამ ამაში არ შედის ყველა სახეობის მომსახურების ანაზღაურება. ეს

ᲐᲛᲦᲔᲠᲓᲜᲔᲜ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ „ᲧᲐᲧᲐᲩᲝᲔᲑᲘ“...

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ... ᲢᲠᲝᲚᲔᲘᲑᲣᲡᲨᲘ

ლამაზად მოხატული ტროლეიბუსი, რომლის ბორტებზე დაბაატანია წითელ ვუდა, ცეროდენა, რუხი მგელი, ნაცარქექია და ცნობილი ზღაპრების სხვა გმირები, თბილისის კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა გახდა. ცნობილი სტერეოტიპის ნაცვლად — თეატრი საკადრით იწყებაო, ეს ახალი თეატრი იწყება... თვლებით. 60 პატარა მაყურებლისათვის გათვალისწინებული მყუდრო დარბაზი გახდა ჩვეულებრივი ტროლეიბუსის სალონი, რომელშიც განლაგდა უნიკალური საბავშვო თოჯინების თეატრი „მხიარული მოუსვენრები“.

ახლა ყველაზე პატარა თბილისელ თეატრალებს აღარ დასჭირდებათ ზოჯერ მომქანცველი გადახვლა ქალაქის ერთი კუთხიდან მეორეში, რათა საქართველოს თოჯინების სახელმწიფო თეატრის სპექტაკლზე მოხვდნენ. თეატრი თვითონ მიდის თავის მაყურებლებთან საბავშვო ბაღებში, ბაგებში, პარკებში, სკოლებში.

სურათებზე: საბავშვო თოჯინების თეატრი „მხიარული მოუსვენრები“ თბილისის ქუჩებში; ძალიან მოსწონთ ნორჩ თბილელებს თეატრი ტროლეიბუსში.

ს. ედიშვერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გაზაფხული ბიჭვინთაში

გაზაფხული ეწვია საქართველოს შავი ზღვისპირეთს. ხალხმრავლობაა სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებსა და ტურისტულ ბაზებში. მწვანედ შეიმოსნენ ბაღები და პარკები.

პირველი 150 ათასი მიხაკი და ორ მილიონამდე მიმოზის ტოტი გაგზავნეს მოსკოვში შავი ზღვის დეკორატიული მებაღეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა. სულ კი მომდინარე წელს მეურნეობა, რომელიც თავის ორმოცდაათ წლისთავს აღნიშნავს, დედაქალაქში გაგზავნის თითქმის 18 მილიონ ცალ მიხაკს, ქრიზანთემას, ვარდსა და ნარგიზს...

სურათზე: ყვავილების მორიგი პარტია მზადდება დედაქალაქში გასაგზავნად.

ბ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲥᲘᲜᲓᲘ

მარტი ჭირვეულობს

მარტი გარდამავალი თვეა და საქართველოში ძალზე ცვალებადი ამინდით ხასიათდება. საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზით, მეორე დეკადაში მოსალოდნელია ტემპერატურის დაკლება: ღამით დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 0-5, ქართლის ბარში კახეთში და რესპუბლიკის მთიან რაიონებში მინუს 1-მინუს 6, მაღალმთიან რაიონებში მინუს 6-მინუს 11 გრადუსამდე; მესამე დეკადაში საქართველოს დაბლობ რაიონებში შესაძლებელია ტემპერატურის მომატება: დღისით 19-24, მთიან რაიონებში 15-20, მაღალმთიან რაიონებში 13-18, ზოგან 5-10 გრადუსამდე.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოს ჩრდილოდასავლეთ და სამხრეთ მთიან რაიონებში, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილში ნორმასთან ახლოს, დანარჩენ რაიონებში კი ნორმაზე ნაკლებია მოსალოდნელი.

ნ. ბერაძე,
საქართველოს ჰიდრომეტცენტრის უფროსი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲐ 1932 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲬᲕᲠᲘ, ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ, ᲡᲐᲛᲐᲛᲘᲡᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲘ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲗᲐᲜᲝᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲘ, ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲡᲯᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06818 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 29.

**ᲙᲝ